# სარბიელი

სპორტული გაზეთი  გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან  სამშაბათი, 22 აპრილი 1997 №45 (410)  ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**უემბლიმდე 8 დღე დარჩა**

## ჰოდლმა და ყიფიანმა ბიჭები გადაითვალეს

| მეკარეები | მეკარეები |
|---|---|
| დევიდ სიმენი (არსენალი) | ირაკლი ზოიძე (დინამო) |
| იან უოქერი (ტოტენჰემი) | ნიკა ტოგონიძე (ბათუმი) |
| ტიმ ფლაუერსი (ბლექბერნი) | |
| ნაიჯელ მარტინი (ლიდსი) | |
| **მცველები** | **მცველები** |
| გარი ნევილი (მანჩესტერი) | მამუკა მაჭავარიანი (დინამო) |
| გრემ ლე სო (ბლექბერნი) | გელა შეყილაძე (ბათუმი) |
| გარეთ საუთგეიტი (ასტონ ვილა) | კახი ცხადაძე (ალანია) |
| ტონი ადამსი (არსენალი) | მურთაზ შელია (ალანია) |
| სოლ კემპბელი (ტოტენჰემი) | ნუგზარ ლობჟანიძე (ცსკა) |
| გარი პალისტერი (მანჩესტერი) | გიორგი ჩიხრაძე (შახტიორი) |
| მარტინ კიოუნი (არსენალი) | |
| სტიუარტ პირსი (ნოტინგემი) | |
| ფილ ნევილი (მანჩესტერი) | |
| **ნახევარმცველები** | **ნახევარმცველები** |
| პოლ ინსი (ინტერი, იტალია) | კახა გოგიჩაიშვილი (დინამო) |
| დევიდ ბექემი (მანჩესტერი) | გიორგი ნემსაძე (ტრაბზონსფორი) |
| სტივ მაკმანამანი (ლივერპული) | გოჩა ჯამარაული (ტრაბზონსფორი) |
| დევიდ ბეტი (ნიუკასლი) | გოგა გახოკიძე (ალანია) |
| რობერტ ლი (ნიუკასლი) | თემურ ქეცბაია (აეკი) |
| ჯეიმი რედნეპი (ლივერპული) | გიორგი ქინქლაძე (მანჩესტერ სიტი) |
| **თავდამსხმელები** | **თავდამსხმელები** |
| რობი ფაულერი (ლივერპული) | არჩილ არველაძე (ტრაბზონსფორი) |
| იან რაიტი (არსენალი) | შოთა არველაძე (ტრაბზონსფორი) |
| ნიკი ბათი (მანჩესტერი) | მიხეილ ყაველაშვილი (მანჩესტერ სიტი) |
| ტედი შერინგემი (ტოტენჰემი) | გოჩა გოგრიჭიანი (ჟემჩუჟინა) |
| ალან შირერი (ნიუკასლი) | |
| ლეს ფერდინანდი (ნიუკასლი) | |

## გაზაევი შელიას ყიდის

ინგლისელ ფეხბურთელებს ერთი ჩვევა აქვთ: ნაკრების თამაშის დრო რომ მოახლოვდება, წუწუნს ატეხენ, არიქათ, ტრავმებმა შეგვჭამა, ჩვენი ნაკრებში თამაში სათუოაო. მოვა თამაშის დრო და... ყველა ფორმაშია. ღმერთმა ჰქნას, ჩვენი ბიჭების ტრავმებიც იოლი გამოდგეს და საუემბლოდ ყველა მზად იყოს. ასეა თუ ისე, ყიფიანი დიდ გაწამაწიაშია: ჩვენს ნაკრებს თითქოს ტრავმების ეპიდემია შეეყარა, მის ზოგიერთ წევრს კი კლუბების მწვრთნელებთან ურთიერთობა დაეძაბა. თავად ყიფიანი ერთკვირიანი ავადმყოფობის შემდეგ ლოგინიდან წამოდგა და „მერანთან" თავის ადგილიც დაიკავა სათადარიგოთა სკამზე.

**— ნაკრების წევრთა ოცდასამკაციან სიას კობიაშვილი უკვე გამოაკლდა. შელიას და ცხადაძის ამბავი როგორღაა?**

— შელია ვნახე, ცხადაძეს ტელეფონით ველაპარაკე. მურთაზი მკურნალობის კურსს თბილისში გადის, ჩვენი ნაკრების ექიმს დიმა ზაალიშვილს საამისოდ ბრწყინვალე უცხოური აპარატურა აქვს და შელია ზეგ გაემგზავრება ვლადიკავკაზს. ორი დღეა ვარჯიშობს კიდეც. რაც შეეხება ცხადაძეს, იგიც ინდივიდუალურად ვარჯიშობს და ორ დღეში მზად იქნება. მთავარია, კონფლიქტი არ გაღრმავდეს. კახას მოუგვარებია გაზაევთან ურთიერთობა, მურთაზი კი ტრანსფერზეა დაყენებული.

**— კობიაშვილის ნაცვლად ვის ათამაშებთ „უემბლიზე"?**

— ალბათ გოგა გახოკიძეს დავაყენებთ, თუმცა, ადრე ნათქვამს ვიმეორებ: შემადგენლობის წინასწარ გამოცხადებას აზრი არა აქვს — შემადგენლობა ინგლისში დადგინდება.

**— რუსეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში ძალზე კარგად ითამაშა ზაზა ჯანაშიამ...**

— ახლა ზაზას მეტ ყურადღებას მივაქცევ და თუ კვლავ ასე გააგრძელებს, შემდეგ შეკრებაზე უეჭველად მივიწვევ.

**— 23 აპრილს ვლადიკავკაზში „ალანია" სწორედ მოსკოვის „ლოკომოტივს" ეთამაშება. ხომ არ ჩახვალთ?**

— არა, იმ დროისთვის ტრაბზონელი ლეგიონერები ჩამოსულები იქნებიან და სანამ გავემგზავრებით, მათაც და სხვა ჩამოსულებსაც „დინამოსთან" ერთად ვავარჯიშებ. რაც შეეხება „ალანია" — „ლოკომოტივს", ტელევიზორში უჩვენებენ და ჩვენებურებს იქ დავაკვირდები.

**— ადრე თქვით, გორში „დილასთან" 24 აპრილის ნაცვლად 23-ში ვითამაშებთო...**

— არა, გორში 24-ში ვითამაშებთ.

**— რევაზ ძოძუაშვილი თბილისში ჩამოვა თუ რიგიდან გაემგზავრება ლონდონს?**

— რეზო იქაურ ლეგიონერებთან ერთად 25-ში გაფრინდება ლონდონში.

**მამუკა კვარაცხელია**

## ქართული ფეხბურთი რივერსაიდ სტუდიოში

ჩვენი ლონდონელი კორესპონდენტის დავით მჭედლიშვილის ცნობით, 28 აპრილს ლონდონის ცნობილ დარბაზ „რივერსაიდ სტუდიოში" იხსნება... ქართული ფეხბურთისადმი მიძღვნილი გამოფენა. მისი თაოსანია ცნობილი ქველმოქმედი და საქართველოს დიდი მეგობარი პიტერ ნასმიტი, რომელიც „სარბიელის" კორესპონდენტს დაუკავშირდა და სთხოვა, ეგებ გადასცეთ თქვენებს ამ გამოფენის ამბავი — დიდი იმედი მაქვს, რომ თქვენი ნაკრების წევრები დაგვაფასებენ, განსაკუთრებით კი დავით ყიფიანის მობრძანება გვსურსო...

## ბოსმანი ქეცბაიასაც ეხმარება



შაბათს „ნიუკასლ იუნაიტედის" პრეს-სამსახურმა გამოაცხადა, რომ ინგლის — საქართველოს მატჩის შემდგომ დღეებში კლუბი აპირებს თემურ ქეცბაიასთან კონტრაქტის ოფიციალურად გაფორმებას. „ნიუკასლის" წარმომადგენლის თქმით, ათენის აეკი ქართველ ლეგიონერს მოლაპარაკების პირველ ეტაპზე 3 მილიონ გირვანქად აფასებდა, მაგრამ ამ შემთხვევაში ერთი პენსის გადახდაც კი უაზრობაა — თემურის და ბერძნული კლუბის კონტრაქტს დღე-დღეზე ვადა გასდის და ბოსმანის წესის თანახმად, ჩვენებური თავისუფალი აგენტი გახდება.

## დღეს სტეფანია იწყებს

### „ოლიმპია" მის იმედზეა

დღეს რომში, თბილისის დროით ათის ნახევარზე საკალათბურთო ევროლიგის „ოთხთა ფინალი" იწყება. ამ შეჯიბრების ესოდენ მაღალ დონეზე პირველად ითამაშებს ქართველი კაცი — ლიუბლიანის „ოლიმპიის" 21 წლის ცენტრი ვლადიმერ სტეფანია. დღეს მისი გუნდი ნახევარფინალში საბერძნეთის „ოლიმპიაკოსს" შეხვდება.

გუშინ „როიტერის" სააგენტომ გაავრცელა ინფორმაცია „ოთხთა ფინალის" მონაწილეთა წინასწარი მზადება-განწყობის შესახებ. „ოლიმპიას" საუკეთესო კალათბურთელების სათავეში „როიტერმა" სწორედ სტეფანია მოაქცია და აღნიშნა: „ლიუბლიანელთა გუნდის და საქართველოს ნაკრების ყველაზე მაღალი ცენტრი „ოლიმპიის" შეტევების მთავარი ძალაა. მისი ნახტომები განცვიფრებას იწვევს. მცირეწლოვანების გამო დიდ მატჩებში მონაწილეობის გამოცდილება აკლია, მაგრამ თავის ნიჭით ამას გააბათილებს".

ჩუმად არც „ოლიმპიას" მწვრთნელი ზმაგო საგადინი ყოფილა. მას ვოვას დიდი იმედი აქვს, თუმცა დასძინა, სტეფანია დაცვაშიც ისევე ძლიერი რომ იყოს, როგორც შეტევაშია, პრობლემა საერთოდ არ გვექნებაო.

... თუკი სტეფანიამ და „ოლიმპიამ" ვაამართლეს „როიტერისა" და საგადინის იმედები, ზეგ, ფინალურ მატჩში „ბარსელონა" — „ვილერბანის" შორის გამარჯვებულს შეხვდებიან...

იხილეთ მე-7 გვერდი



STING

**ENGLAND vs GEORGIA**

ლონდონი, 30 აპრილი

### სარბიელი

**8 დღეღა რჩება „უემბლის" მატჩამდე. ემზადებიან მწვრთნელები, ფეხბურთელები და, ცხადია, ჟურნალისტებიც. დღეს დილით ლონდონს მიფრინავს ჩვენი კორესპონდენტი, პარასკევს მას კიდევ ერთი სარბიელელი შეუერთდება, შაბათს კი მესამეც ადგილზე იქნება. დაუმატეთ ამას ჩვენი ლონდონელი კორესპონდენტიც და...**

**მოკლედ, უახლოეს დღეებში „სარბიელის" წაუკითხაობა არაფრით იქნება!**

## ნაკრები მესამეა, ბოისა საუკეთესო

ტალინში დასრულებულ 1980 და მომდევნო წლებში დაბადებულ კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე საქართველოს ნაკრებმა ბოლო შეხვედრა ფინეთის გუნდთან გამართა და 77:81 დამარცხდა. პირველი ტაიმი ფინელებმა 9 ქულით მოიგეს. მატჩის ბოლოს ქართველებმა დაწევა მოახერხეს, მაგრამ ფინელებმა მაინც იძალეს, გაიმარჯვეს და დაუმარცხებლად დაიკავეს პირველი ადგილი. მეორე ადგილი რუსებს ხვდათ წილად, მესამე — საქართველოს ნაკრებს. ამ სამმა გუნდმა შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. თავი ისახელა ჩვენი ნაკრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა, რუსთაველმა ვლადიმერ ბოისამ. მას გადაეცა ტურნირის ყველაზე შედეგიანი მოთამაშის პრიზი, პრიზები ფარზე ბურთის ყველაზე მეტჯერ მოხსნისთვის და ჯარიმების საუკეთესო შესრულებისთვის, ბოისა ტურნირის სიმბოლურ ნაკრებშიც შეიყვანეს.

ტალინში დავუკავშირდით გუნდის უფროს მწვრთნელს თამაზ ოქრუაშვილს:

— ბოლო ტურის წინ გარკვეული იყო, რომ ჩვენ მესამე ადგილზე გავდიოდით, რადგან ჰოლანდიისა და ესტონეთის გუნდები ველარ გვეწეოდნენ. ძალზე დიდი ანგარიშით უნდა მოგვეგო, რომ ერთნაირი ქულების შემთხვევაში ბურთების სხვაობით უკეთესი ადგილი დაგვეკავებინა, მაგრამ ჩვენს გამარჯვებას შესაძლოა რუსეთის ნაკრები გაეყვანა პირველ ადგილზე. დაკავებულ ადგილებს კი შემდგომი შესარჩევი ტურნირის ჯგუფებში განაწილებისას ექნება მნიშვნელობა. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა გუნდი საკმაოდ მაღალი დონის კალათბურთს თამაშობდა და ამიტომ ჩვენი ნაკრების გამოსვლით კმაყოფილი ვარ. გაგვაკვირვა ფინეთის ნაკრებმა, რომელმაც თვით რუსეთის ძლიერ გუნდს მოუგო. კარგი გამოცდილება მივიღეთ და ახლა მზადებას დავიწყებთ შესარჩევი ტურნირისთვის, რომელიც აგვისტოში გაიმართება.

## ჩამოვლენ და გაირკვევა

შაბათს ლისაბონში ფირას პირველობის საჩემპიონო ნახევარფინალი საქართველოს რაგბის ნაკრებმა 17:21 წააგო პორტუგალიისასთან.

ევროპის კიდიდან იმავ საღამოს დარეკა ბორჯღალოსნების უფროსობამ. რაგბის კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე და ნაკრების უფროსი მწვრთნელი გურამ მოდებაძე ოჯახებს შეეხმიანნენ, კავშირის გენერალური მდივანი გია კუბლაშვილი კი — სპორტის დეპარტამენტის პრეს-ცენტრს. ამ სამი ზეპირი წყაროდან მიღებული ინფორმაციების შეჯერებით ირკვევა, რომ ჩვენი ბიჭები დაუჩაგრავს ფრანგ მსაჯ ფერნანდესს. ზოგი ვერსიით მას ქართველთა მიერ გატანილი სამი ლელო არ ჩაუთვლია, რისთვისაც ჩვენებს თამაშის მერე გაუტყეპიათ.

ლისაბონის გაზეთმა „დიარიუ ნოტისიაშმა" პორტუგალ მორაგბეთა გამარჯვება მძიმედ და ღირსეულად მოიხსენია. გაზეთის ცნობით, მასპინძლებს თავი არ დაუზოგავთ, გადამწყვეტი ლელო კი 79-ე წუთზე გაუტანია სალვადორ ამარალს. ერთი სიტყვით, ჩვენები თურმე ზედ მატჩის ბოლომდე წინ ყოფილან.

ბორჯღალოსნები თბილისს წუხელ უნდა ჩამოფრენილიყვნენ. იმედია, რაგბის კავშირი ტრადიციულად გამართავს მატჩის ვიდეოჩანაწერის საჯარო ჩვენებას. ამითი ბევრი რამ გაცხადდება.

# საქართველოს თასის ნახევარფინალი განმეორებითი მატჩები

**მერანი 0:3 დინამო**

თბილისი. სტადიონი „სინათლე"
**მერანი:** დოლიძე, ცქიფურიშვილი (ბუტიკაშვილი 46), ქველაძე, გოგობერიშვილი, გოგიტაძე, გელა ქორიძე, ბ. კვარაცხელია (ბერაია 75), მაზიაშვილი, ბაკურაძე, ბახტაძე (ქინქარაული 68), დავითაშვილი
**დინამო:** ზოიძე (ჭანტურია 48), კალაძე, ჯელაძე, დიდავა (დიმიტრიშვილი 46), მაჭავარიანი, გემეზაშვილი, კიკნაძე, ცქიტიშვილი, ხომერიკი (ყიზილაშვილი 56), ანჩაბაძე, დემეტრაძე
0:1 ცქიტიშვილი (37), 0:2, 0:3 დემეტრაძე (41, 63)
**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (სურამი)



ასე გაიტანა გიორგი დემეტრაძემ მეორე გოლი...

## ფინალის პრივატიზაცია

**მამუკა კვანტალიანი**

12 აპრილს, თასის ნახევარფინალის პირველ მატჩში „მერანი" მთელი 85 წუთი უმკლავდებოდა ქვეყნის უცვლელ ჩემპიონს, მაგრამ დარჩენილ ხუთ წუთში ორი ბურთის სხვაობით წაგება მოახერხა. გუშინწინ ავჭალის სტადიონზე შეკრებილ მრავალრიცხოვან გულშემატკივართაგან ალბათ ყველაზე დიდ ოპტიმისტებს თუ სჯეროდათ „მერანის" რევანშისა. მათი არგუმენტები ასეთი გახლდათ: ჯერ ერთი, „მერანს" თემურ მახარაძე დაუბრუნდაო, მეორეც — ამ უსწორმასწორო მინდორზე დინამოელები ბურთს ვერ გააგორებენ, თამაში გაუჭირდებათ, მერანელები კი აქაურობას შეჩვეულები არიან და თავს ისე გრძნობენ, როგორც თევზი წყალშიო. მავანთა აზრით, გოგიჩაიშვილის არყოფნაც საკმაოდ დაასუსტებდა დინამოელთა თამაშს. მოკლედ, ლამის იყო, „მერანი" უკვე ფინალში ეგულებოდათ ამ თავისთვის, უწყინარად მეოცნებეთ. მეოცნებენი, მოგეხსენებათ, ხშირად არად აგდებენ მწარე სინამდვილეს, სინამდვილე კი ასეთი იყო: მერანელები ვერ ათამაშებდნენ გოდერძიშვილს და გაბისონიას, კაკუბავას, ბახვა და ლაშა ამბიძეებს, ხორხელს და ჭოლოკავას. ცხადი იყო, ყიფიანი უეჭველად გაიხსენებდა პირველი წრის ბოლო მატჩის შედეგს, როცა „მერანმა" ლიდერს ქულა აართვა...

თამაში ძალისმიერი, ხისტი ბრძოლით დაიწყო. დინამოელებმა თავიდანვე უარი თქვეს ცენტრში ბურთის დაჭერა-გაგორებაზე და მოიხელთებდნენ თუ არა ხელსაყრელ მომენტს, უმალ გარღვევაზე გაჰყავდათ თავდამსხმელები დემეტრაძე და ხომერიკი. სტუმართა მოძალებას მასპინძლები საკმაო ხანს უმკლავდებოდნენ, ერთი ხანობა თითქოს შეძლეს კიდეც თამაშის მოპირდაპირე მხარეს გადატანა, მაგრამ „პირადად" ზოიძის შეწუხება ვერაფრით მოახერხეს. ნახევარი საათი ისე გაილია, სახიფათო მომენტი ვერცერთმა შექმნა, მერე კი... დინამოელთა დებიუტანტმა გემეზაშვილმა მოედნის შუაგულიდან საჯარიმოში ჩააწოდა, ხომერიკმა თავით ცქიტიშვილის დაუგდო, ამის ჩაწოდებულს ანჩაბაძემ თავი დაურთო და გუბაზ დოლიძეს ოსტატობა გამოაჩენინა. მეკარემ ცხრიანიდან გამოაძრო ბურთი. ცოტა ხანში დინამოელებმა ისევ ჩააწოდეს საჯარიმოში, მცველებმა უხეიროდ და სუსტად მოიგერიეს, გადმოვარდნილს კი ცქიტიშვილმა დაჰკრა და გუბაზიც უძლური შეიქნა. მასპინძლები აირივნენ და მეორე გოლიც გაუშვეს. მათი კარის სიახლოვეს დანიშნული ჯარიმა დინამოელებმა ორიგინალურად გაითამაშეს: ვერავინ მიხვდა, ვინ საით გაიქცეოდა, საბოლოოდ ცქიტიშვილმა დაარტყა, ბურთი მცველებსა და დემეტრაძეს შორის გაიჩხირა, დემემ კი დამხვდურთ სისწრაფეში აჯობა და კარში დაარტყა. ბურთს კარში ჩამდგარი მაზიაშვილი გადაელობა, მიმართულებაც შეუცვალა, მაგრამ თავისიანები გოლისგან მაინც ვერ იხსნა. ეს უკვე საბოლოო განაჩენი გახლდათ და ცხადი შეიქნა, რომ მასპინძლები მარცხს შეურიგდნენ.

მეორე ნახევრის დასაწყისში მასპინძლებმა კი გაიბრძოლეს, მაგრამ „დინამომ" მალევე მესამე გოლიც გაიტანა და სტუმრები მთელს მოედანზე გაბატონდნენ. ახალგამოსული ყიზილაშვილი მცველებს დაუსხლტა. ამათ რატომღაც თამაშგარე ეგონათ, ყიზომ კი მშვიდად წაიღო ბურთი და კარის წინ მყოფ დემეტრაძეს მიაწოდა. ამანაც მარცხენათი მეკარეს ბურთისკენ გზა მოუჭრა, მარჯვენის ქუსლით კი გაუტანა. დინამოელებს მერეც შეეძლოთ გატანა, მაგრამ თავი აღარ მოუკლავთ — ფინალისტობა განლდებული ჰქონდათ. თამაშიც დამშვიდდა და მშვიდადვე ჩამთავრდა. „მერანმა" მხოლოდ ის მოახერხა, რომ მატჩის მიწურულს ზოიძის შემცვლელი ჭანტურია ერთად-ერთხელ გადაახტუნა.

„დინამო" მეექვსედ გავიდა საქართველოს თასის ფინალში, სადაც ასევე ტრადიციულ ფინალისტ „ბათუმს" შეერკინება.



...მესამე გოლი კი დემემ ქუსლით შეაგდო

**ბათუმი 3:0 ოდიში**

ბათუმი. სტადიონი „დინამო"
**ბათუმი:** ტოგონიძე (გვარამაძე 46), ი. მახარაძე, მინდაძე, სიჭინავა, შეყილაძე, თორლაშვილი (კანტიძე 46), მ. მახარაძე, ღლონტი, ტულუში (მაჭაცარია 63), უჯმაჯურიძე, ა. მუჯირი
**ოდიში:** ნაყოფია, ჭურღულია, ბუჩუა, ქედია, მიქაძე, ბარქაია, ახვლედიანი, ჯოჯუა, ნიტაიშვილი (სვირავა 65), გაბედავა, ვახანია
1:0 მუჯირი (26), 2:0, 3:0 ტულუში (42, 44)
**მსაჯი:** მ. მალალურაძე (თბილისი)

მოსკოვში, „თანამეგობრობის თასზე", ერთ-ერთი მატჩის შესვენებისას კურიოზულ სცენას შევესწარი: ერთმანეთს მოულოდნელად შეეჩეხნენ ცესკას მწვრთნელი პაველ სადირინი და... ცესკასავე მწვრთნელი ალექსანდრ ტარხანოვი. ერთმანეთს ცივად ჩამოართვეს ხელი და მყის დაშორდნენ. ორი [illegible] ომზე, თუ გახსოვთ, საკმაოდ დაიწერა. [illegible] უკვე „ტორპედოს" თავკაცმა ტარხანოვმა [illegible] სთან გაასწორა — 5:0. ამ მატჩში [illegible] პენალტი აიკიდა და ცესკამ პირველი გოლი ასე გაუშვა...

## ნუგზარ ლობჟანიძე: ან ავშენდებით, ანაც...

— მინდვრის საფარი საშინელ დღეში იყო და კამოლცევის მოცელვაში ამანაც ითამაშა თავისი როლი, თუმცა თავს არ ვიმართლებ. ძალიან ცუდად ვითამაშე. მეორე კურიოზულმა გოლმა კი საერთოდ დაგვშალა. ერთი-ორი მომენტი ჩვენც გვქონდა, ძელსაც გავარტყით, მაგრამ, ეტყობა, განწირულები ვიყავით. ახლა შინ ვზივარ და გონზე მოვდივარ.

**— ადრე მითხარი, ყოველ მესამე-მეოთხე დღეს ვთამაშობ და გადავიღალეო...**

— ახლაც ამას ვაბრალებ ჩემს ცუდ თამაშს „ტორპედოსთან", თუმცა აქ ერთი მომენტია გასათვალისწინებელი: თამაში ისე არ მღლის, როგორც მინდვრის უხეირო საფარი. მომენატრა რბილ მინდორზე ბურთის გაგორება, მატჩში თოვლ-ჭყაპი და ტალახი იყო, ეს კი დიდ ენერგიას გართმევს. ახლა ურთულესი მატჩი გველის — „სპარტაკს" ვეთამაშებით. „ლოკომოტივის" სტადიონზე უნდა ვითამაშოთ, იქ კი, როგორც მითხრეს, მინდვრის საფარს არა უშავს. ინგლისის წინ კარგი იქნება „სპარტაკთან" ძალების მოსინჯვა...

**— ჩვენიანების ამბავი შეიტყვე?**

— გავიგე, ცხადაძეს და შელიას პრობლემები ჰქონიათ გაზაფხულთან. ძალიან მეწყინა, ესლა გვინდოდა ინგლისის წინ? მეშინია, ბიჭებზე ფსიქოლოგიურად არ იმოქმედოს...

**— „უემბლიმდე" ცოტა დროღა დარჩა...**

— ასეთი მატჩი შეიძლება ცხოვრებაში ერთხელ ითამაშო...

**— შიში ხომ არ შეგეპარა?**

— მე და შიში?! ამ მატჩს ყველა ჩვენგანის კარიერაში ალბათ გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება. სულ რუსეთში დარჩენას არ ვაპირებ და სად მექნება ამაზე კარგი შანსი, სპეციალისტებს კარგად წარვუდგე? ალბათ იგივეს ფიქრობენ ბიჭებიც...

**— რას ფიქრობ, შეიძლება ინგლისელების დამარცხება?**

— რატომაც არა. თუ გამარჯვებაზე არ იფიქრე, ვერასდროს გაიმარჯვებ. ჩვენ შეგვიძლია ინგლისელთა დამარცხება. არ ვიცი, როგორ დასრულდება მატჩი „უემბლიზე", მაგრამ ყველა ჩვენგანმა ისე უნდა ითამაშოს, როგორც არასდროს. თუ კაცები ვართ, იქ უნდა დავამტკიცოთ. მოკლედ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უნდა გავუმართოთ. მეტი რაღა დაგვრჩენია.

**— როგორ თვლი, სომხებთან მატჩი სასარგებლო თუ იყო „უემბლის" წინ?**

— უდაოდ. ჩემი აზრით, ბიჭები სულ სხვანაირები გახდნენ. შეიძლება ეს იმიტომ მომეჩვენა, რომ პირველად ჩამოვედი ნაკრების შეკრებაზე უცხოეთიდან, მაგრამ, ვფიქრობ, ნამდვილად ასეა. მე მგონი, ყიფიანის მოსვლის მერე ნაკრებში პროფესიონალიზმმა იმატა. ახალი კაცის ამბავი ხომ გაგიგონია. მე ვიცი, რომ საქმეს თუ ვერ გავაკეთებ, ყიფიანი არ დამაყენებს, ასევე იციან სხვებმაც. პროფესიულადაც მიადვილდება მასთან მუშაობა, რაკიღა „დინამოში" კარგა ხანს ვიყავით ერთად.

**— ბოლო 6 თამაშში პირველად გოლი არ გაგიშვიათ...**

— შეიძლება სომხეთი ის ძალა არ არის, მაგრამ, ჩემი აზრით, ამაში იმანაც ითამაშა დიდი როლი, რომ ყიფიანმა ოთხი მცველი გვათამაშა. მეც ასე უფრო მიადვილდება. ვფიქრობ, ინგლისელებთანაც ასე უნდა გავიდეთ...

**— წარმოიდგინე, რომ „უემბლის" გასახდელიდან ამოხვედი და მინდორზე გადიხარ. რა ფიქრები იტრიალებს ამ დროს „სკილეტას" თავში?**

— ეს მატჩი, უკვე გითხარი, გადამწყვეტია ბევრი თვალსაზრისით. ამ თამაშის მერე თითქმის ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში რაღაცა რადიკალურად უნდა შეიცვალოს: ან — ასე, ან — ისე, მოკლედ, ან ავშენდებით, ანაც... თუმცა, ცუდზე რატომ ვიფიქრო...

**მამუკა კვარაცხელია**

### ერთი გოლი სამ ჩვენებურზე

თურქეთის ჩემპიონატის 30-ე ტურში „ტრაბზონსფორმა", როგორც იქნა, ჩვეულად გაიმარჯვა — „დარდანელს" 4:0 მოუგო. ერთი გოლი შოთას ანგარიშზეა. მასთან ერთად იმ დღეს მოედანზე იყვნენ ნემსაძე და გოჩა ჯამარაული.

### ჯელაძემაც გაიტანა

ლატვიის ჩემპიონატში ერთ გუნდს მუდამ უწევს დასვენება, რის გამოც რიგის „სკონტოს" არ უთამაშია. სამაგიეროდ, მისგან დაჩაგრულმა „ვენდსპილმა" რიგის „ლოკომოტივს" 1:0 მოუგო. და ეს ერთადერთი გოლი არმაზ ჯელაძემ გაიტანა.

## დამმობილდებიან?

**თბილისის „მერანი" იტალიის „ფიორენტინასთან" კავშირის გაბმას აპირებს — გვაცნობა „მერანის" პრეზიდენტმა ნუგზარ ნავაძემ.**

— „ფიორენტინასთან" ურთიერთობის დამყარების სურვილი ამ კლუბის ხელმძღვანელებს იტალიაში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენების მეშვეობით ვაცნობეთ. იტალიელები თანახმანი არიან, თუმცა როგორი იქნება ეს ურთიერთობა, ჯერ გადასაწყვეტია. საამისოდ შეხვედრაა საჭირო. მაისში ფლორენციაში საქართველოს კულტურის დღეები ეწყობა და იქ, ცხადია, საქართველოს დელეგაციაც მიემგზავრება. თუ ამ დელეგაციაში მოვხვდი, „ფიორენტინას" ხელმძღვანელებს მოვინახულებ მოსალაპარაკებლად, თუ არადა, სხვა საშუალებას მოვძებნი იტალიაში ჩასასვლელად.

**— როგორ წარმოგიდგენიათ „ფიორენტინასთან" ურთიერთობა?**

— ურთიერთობა მრავალნაირი შეიძლება დამყარდეს. შესაძლოა, გავმართოთ ამხანაგური მატჩები, იტალიელებმა ჩვენგან წაიყვანონ სასურველი მოთამაშე, დაგვეხმარონ ფინანსურად...

**— უსარგებლოდ არავინ არავის დაეხმარება. თქვენთან ურთიერთობაში „ფიორენტინამ" რა ხეირი უნდა ნახოს?**

— რა თქმა უნდა, მოლაპარაკებისას პარტნიორი შენთან თანამშრომლობის პერსპექტივაში უნდა დაარწმუნო. არა მგონია, იტალიელებისთვის უინტერესო იყოს ქართულ ფეხბურთთან ურთიერთობა. დღეს თუ არა ვართ მსოფლიო დონისანი, გარკვეული დახმარების შემდეგ სავსებით შესაძლებელია ამ დონის მიღწევა. მოკლედ, არა მგონია, ჩვენთან ურთიერთობა იტალიელებს მთლად უპერსპექტივოდ ეჩვენოთ.

**— „მერანს" ევროტურნირში თამაშის შანსი გააჩნია. თუ ასე მოხდა, მეტოქის მიღების საშუალებას ავჭალის სტადიონის მდგომარეობა არ მოგცემთ...**

— რა თქმა უნდა, ევროტურნირზე სტუმარს ავჭალის სტადიონზე ვერ მივიღებთ, მაგრამ საამისოდ სარბიელის მოძებნა არ უნდა გაგვიჭირდეს. იმედია, ეროვნულ სტადიონზე თამაშის უფლებას მოგვცემენ.

ბუნებრივია, გვსურს ჩვენი სტადიონის რეკონსტრუქცია, მაგრამ უახლოეს მომავალში მის ევროპულ სტანდარტებამდე მოწყობას დიდძალი სახსრები სჭირდება, ჩვენ კი ამჟამად ასეთი თანხები არ გაგვაჩნია. თუმცა, მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას უახლოეს პერიოდში შევეცდებით. ვაპირებთ დასავლეთ მხარის ტრიბუნის აშენებას, რის შემდეგაც ავჭალის სტადიონი 5 000 მაყურებელს მაინც დაიტევს.

**მერაბ მამულაშვილი**

### თემურ მახარაძე: ბიჭებმა მთხოვეს...

წინა „სარბიელში" გამოთქმული ვარაუდი — მახარაძე „მერანს" დაუბრუნდაო, გამართლდა. „დინამოსთან" თასის ნახევარფინალის საპასუხო შეხვედრაზე გუნდი კვლავ მან გამოიყვანა. მოკლედ, მისი ორკვირიანი „არდადეგები" წარსულს ჩაბარდა. დაბრუნების მიზეზებზე მახარაძემ ეს გვითხრა:

— დაბრუნება „მერანის" ინტერესებით იყო განპირობებული. მოთამაშეებმა მთხოვეს, რომ დაწყებული საქმე ბოლომდე მიგვეყვანა. წასვლა ცხელ გულზე, ექსტრემალურ ვითარებაში გადავწყვიტე. შემდეგ კი, როდესაც დავფიქრდი და ჩემი საქციელი გავაანალიზე, მივხვდი, რომ ბიჭების ღალატი დიდი ცოდვა იქნებოდა. ამიტომაც დავუბრუნდი „მერანს". იმედია, საქმეც კვლავ აეწყობა. გუნდი სასურველ მიზანს მიაღწევს და ევროტურნირის რომელიმე თასზე თამაშის უფლებას მოვიპოვებთ.



# შელია გამოჯანმრთელდა, გაზაევი კი ავად ყოფილა

საქართველოს ნაკრების მცველი მურთაზ შელია და ტრავმა ერთად, ცოტა არ იყოს, წარმოუდგენელია. ფიზიკურად მისგან დაჩაგრული ბევრი გვინახავს, მისი მჩაგვრელი კი ერთი თუ ორი. და მაინც, ადამიანი რკინისა როდია... მთავარია, ბედმა ნაადრევად არ უღალატოს, თორემ...

რა ძნელია მძიმე ტრავმის შემდეგ „ალანიას" ძირითადში დაბრუნება, ეს რევიშვილის მაგალითმაც დაგვანახა. ამიტომ იყო, შელიას ტრავმის ამბავი რომ შეიტყო, ბევრი დალონდა, ემანდ, ჩვენს თავს ფარსაგი რამ არ იყოსო. ერთი რომ, თვის ბოლოს „უემბლიზე" გასამართი მატჩი უშელიოდ ძნელი წარმოსადგენია. მეორეც, ამ ფეხბურთელის მომავალზეც არაერთი ჩაფიქრდა.



— თამაშის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე დავშავდი. კაპილარები გამიწყდა რამაც სისხლჩაქცევა გამოიწვია. თან ძველი ტრავმაც გამიმიზეზდა — თითი მქონია მოტეხილი.

**— რომელ ფეხზე?**

— მარცხენაზე. ამის შემდეგ ვმკურნალობდი. მოეთხე დღეა, ნაკრების ექიმმა დიმა ზაალიშვილმა რენტგენტის სურათი გადამიღო და პროცედურა დამინიშნა. ორი დღეა, ვარჯიში დავიწყე.

**— ესე იგი, სავარაუდოა, რომ ინგლისელებთან თამაშს შეძლებ.**

— მე მგონი. მგონი კი არა, შევძლებ.

**— ვლადიკავკაზში როდის უნდა ჩახვიდე?**

— ხვალ, 21 აპრილს.

**— ცხადაძე, შელია და კიდევ ერთი ლიტველი „ალანიამ" ტრანსფერზე დააყენაო. მართალია?**

— კი, ასეა. გაზაევთან კონფლიქტი მომივიდა. სხვა ტაქტიკით თამაშობს და ათას მიზეზს ეძებს თავის გასამართლებლად. მოკლედ, ერთი წლით წინ იხედება, მაგრამ უჩემოდ წაგებულ თამაშებში გამოჩნდა, რომ საჭირო ვყოფილვარ. გაზაევი ახლა, ვარსკვლავის ავადმყოფობას რომ ეძახიან, იმითაა დაავადებული და რა ქნას, აღარ იცის. დამირეკა. ჩავალ და ყველაფერს გავარკვევ.

**— თქვენს გარდა, რომელი ლიტველის უკმაყოფილოა?**

— პოდერისის. ახლახან გავიგე, რომ გეცკოს გაყიდვასაც აპირებს.

**— ცხადაძეც თბილისშია?**

— არა. კახა „ალანიაშია" და თამაშობს კიდეც.

ისე, ამ ყველაფერს შეურაცხყოფად არც ვილებ. ჩემთვის სულ ერთია, გინდა გაზაევი იყოს და გინდა სხვა ვინმე...

**— თუ „ალანიიდან წახვედი, რა გზას უნდა ეწიო? თუ გაქვს რაიმე ვარიანტი შეგულებული?**

— რა ვიცი. ორი თვე კიდევ მოვითმენ და მერე წავალ. ბევრი ისეთი გუნდია, რომელიც... ერთი სიტყვით, გამოჩნდება რაიმე ხეირიანი წინადადება და წავალ.

**— გარედან უცნაურად ჩანს — იმ ხნის მანძილზე, რაც ალანიაში იყავი, საყვედურს ვერავინ გეტყოდა. რა შეიცვლა ასე უცებ?**

— იცით რა ხდება? გუნდი ცუდად თამაშობს, საქმე ვერ აეწყო. „ალანიამ" ცუდი სტარტი რომ აიღო, ჯოხი ვინმეზე ხომ უნდა გადატყდეს? გაზაევმაც აიღო და, ვიღაცას ათქმევინა, რომ სიტყვაზე, ცხადაძე და შელია არიან დამნაშავენიო. მე კი ვთვლი, რომ ჩემზე უკეთ არავინ თამაშობს, პირიქით, ხალხი, გულშემატკივრები გაზაევზე არიან დაბოღმილები. მე ხომ ვიცი ეს, „ალანიაში" ორი წელი ვითამაშე...

**— ესე იგი, ყველაფერს ვლადიკავკაზში ჩასვლის შემდეგ გაარკვევ.**

— ჩავალ და დაველაპარაკებით. თუ წასვლაზე მიდგა საქმე, მაშინვე თბილისში დავბრუნდები. ბოლოს და ბოლოს, ვისი რა მჭირს შესახვეწი...

**ვახტანგ ბზიკაძე**



# ვინ შეცვლის კობიაშვილს?

ინგლისელებთან შეხვედრის სამზადისში მყოფ დავით ყიფიანს საფიქრალ-საზრუნავი დღითი-დღე ემატება. როგორი საქმეა, მატჩის წინ ძირითადი შემადგენლობის სამი მოთამაშე დაუშავდა, თანაც სამივე ალანიელი, ჯერ იყო და, ზენიტელმა მცველებმა ლევან კობიაშვილი გაისტუმრეს საავადმყოფოში და „უემბლიც" გამოატოვებინეს, ახლა კი, შესაძლოა მას შელია და ცხადაძეც დაემატნონ. მოკლედ, ჩვენი ალანიელები დაითარსნენ.

არადა, ექიმები თავდაპირველად კობიაშვილის თამაშამდე მომჯობინებას გვპირდებოდნენ, მათ ვარაუდს მინდობილმა ვლადიკავკაზელთა მთავარმა მწვრთნელმა ვალერი გაზაევმა ლევანი 17-ში თავისთან იხმო, ვარჯიშს დაგაწყებინებო. მანამდე კი კვლავ უნდა გაესინჯათ. ოპერაცია გადატანილი კობიაშვილი ექიმებმა ვეღარ დააიმედეს და თვის ბოლომდე დასასვენებლად გაამწესეს.

— იმედი მქონდა რომ 17 აპრილს ექიმები ვარჯიშის დაწყების უფლებას მომცემდნენ, მაგრამ... 27-მდე მომიწევს დაცდა.

**— ამბობენ, კობიაშვილს მოძველებული მეთოდით უმკურნალეს, ოპერაცია თბილისში რომ გაეკეთებინა, ინგლისამდე გამოჯანმრთელებას მოასწრებდაო...**

— ეს მართლაც შეიძლებოდა. თბილისში ჩამოსულმა ქირურგს რომ მივაკითხე, მითხრა, აქ უფრო უკეთ და სწრაფად განიკურნებოდიო. ძნელია იმის თქმა, „უემბლიზე" სათამაშოდ მზად ვიქნებოდი თუ არა, მაგრამ ვარჯიშს კი აუცილებლად დავიწყებდი.

**— 27 აპრილს მაინც თუ დაიწყებ ვარჯიშს?**

— მხარში რომ ლითონი ჩამიდგეს, იმას ამომიღებენ თუ არა, მეორე დღესვე ვარჯიშს დავიწყებ. ეს, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია და სათუო აღარ არის. ინგლისელებთან თამაშსაც, სამწუხაროდ, ვერ შევძლებ — ესაც გარკვეულია. არადა, როგორი იმედი მქონდა...

**— ტკივილები თუ გაწუხებს?**

— არა, ტკივილით არაფერი მტკივა. ეგაა, ლითონი არ მსიამოვნებს. ამიტომაც იყო, ექიმებს მისი ამოღება რომ ვთხოვე. მაგრამ, ჭრილობის უკეთ შესახორცებლად, ეტყობა, ასეა საჭირო და მეც ვითმენ.

**— სრული დატვირთვით ვარჯიშს როდის განაახლებ?**

— თავიდან 3-4 დღე ცალკე ვივარჯიშებ, შემდეგ კი გუნდს შევუერთდები. 3 მაისს თუ არა, ეგებ 10-ში „ალანიას" საშინაო მატჩში ვითამაშო.

...ბოლოს ლევანმა სინანულით მითხრა, თამაშს ვინ ჩივის, მატჩზე დასწრების საშუალებაც არა მაქვს, 27-ში ხომ ვლადიკავკაზში უნდა ჩავიდე, არადა, გული არ მიჩერდებაო.

სხვა რა გზაა, უნდა მოითმინოს. მის არყოფნაში კი ნაკრების მწვრთნელს დავით ყიფიანს დიდი თავსატეხი გაუჩნდა — ვინ შეცვლის კობიაშვილს?

**მერაბ მამულაშვილი**

# ერთად დავსხდეთ და ვუყუროთ

შარშანწინ ლევან კობიაშვილის ერთი რეკორდის (უფრო სწორად, ანტირეკორდის) შესახებ ვწერდით. ზედიზედ სამ თამაშში ჯერ არავინ [illegible] რეკორდი შარშან კარლო კალაძემ გაიმეორა: ინგლისის [illegible] ნაკრებთან ჯერ გააფრთხილეს, მერე მეორე ყვითელი უჩვენეს და გააძევეს, მერე ბათუმის „დინამოსთან" 3:3-ზე ნათამაშევ მატჩში გამოჰკრა ხელი წითელ ბარათს, რამდენიმე დღეში კი ბეირუთში არაბმა მსაჯმა გააძევა მინდვრიდან, მეორე მატჩში კი ყვითელი უჩვენეს. ამას თუ შარშანვე ევროტურნირში მიღებულ ორ ყვითელს დავუმატებთ და ეროვნულ ჩემპიონატში მიღებულ ამდენსავე და ასეთსავე ბარათებსაც მივათვლით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კალაძეს კობიაშვილისთვის უჯობინია კიდეც... კობიაშვილის ტრავმის ამბავი იცით, კალაძე დისკვალიფიკაციის გამო ვერ მიდის ინგლისში, ისევე, როგორც ამათი მესამე ძმაკაცი გიორგი დემეტრაძე. ჰოდა, როგორც ამ ჩვენი წერილის გმირმა მითხრა, სამივე აპირებს „უემბლიდან" ტელერეპორტაჟის ყურებას, ოღონდ ვისთან, ჯერ ვერ გადაუწყვეტიათ.

**— ინგლისში მოთამაშეებად ვერ მოდიხართ და ტურისტად წასვლა რატომ არ სცადეთ?**

— ბიჭებისა არ ვიცი, მე კი არაფრისდიდებით არ მინდა ასე წასვლა. სხვა საქმეა, ნაკრების შემადგენლობაში მოხვდე „უემბლიზე", ტრიბუნებზე ჯდომა და იქიდან ქომაგობა კი ჩემი საქმე არ არის. ტრიბუნიდან ამ თამაშის ყურებას ვერ გადავიტან...

**— წელიწადნახევრის წინ, ფაქტობრივად, „დინამო 2"-ის მოთამაშე იყავი და უცებ „დინამოში" და ნაკრებში ერთდროულად მოხვდი. რას მიაწერ ასეთ სწრაფ პროგრესს?**

— იმ ერთწლიან, შარშანდელ გამოცდილებას, ევროთასებზე რომ მივიღეთ.

**— სამი წლის წინ ესენგეს ტურნირზე მოსკოვის „სპარტაკთან" რომ გამოგიშვეს, ოციოდ წუთის მერე შეცვლა ითხოვე, ბიჭები ამბობდნენ, კინაღამ გაიგუდაო. შიში იყო თუ...**

— ეს ჩემი დებიუტი იყო „დინამოში". კუტივაძემ პირველად დამაყენა ძირითადში, თხუთმეტი წლის ვიყავი. თამაშის წინ მოთელვაზე ისე გავხურდი, მატჩი უკვე დაღლილმა დავიწყე. პისარევს ვედექი პერსონალურად. მე-15 წუთზე ჩამიქროლა და გოლი გამიტანა. არ გასულა ხუთი წუთი, რომ საშინელი ნერვიულობა დამეწყო და შეცვლა ვითხოვე. ბიჭებმა გადამატანინეს მაშინ ეს სტრესი. ბესო კირვალიძეც დამეხმარა. მას მერე აღარ მომსვლია მსგავსი რამ...

**— შენი თამაშის შემხედვარე იფიქრებს, რომ ზრდადასრულებულ, ჩამოყალიბებულ მცველთან აქვს საქმე. შენც აგრე თვლი?**

— არა, ჩამოყალიბებამდე ჯერ კიდევ შორია, მარჯვენა ფეხს ისე ვერ ვხმარობ, როგორც მაღალი კლასის მცველმა უნდა იხმაროს. თავით თამაშიც დასახვეწი მაქვს, სისწრაფეც მოსამატებელია. მოკლედ, სამუშაო ბევრია...

**— იანვარში მერაბ ჟორდანიას ცესკამ სთხოვა შენი წაყვანა. შენი აზრით, მზად ხარ უცხოეთში სათამაშოდ?**

— უცხოეთს გააჩნია. ცესკაში, ვფიქრობ, არ გამიჭირდებოდა, აი, საინგლისოდ კი, რა თქმა უნდა, ჯერ ძალიან ადრეა. რომ გავეშვით, დიდი სიამოვნებით წავიდოდი, რადგან მე, როგორც ყველა ფეხბურთელს, წინსვლა მინდა. მუდამ ერთ ადგილზე მყოფი კლასს ვერ აიმაღლებ.

**— შენი აზრით, საქართველოში ვეღარ გაიზრდები?**

— უკვე ვთქვი, ჩამოყალიბებამდე ბევრი მიკლია-მეთქი, რა თქმა უნდა, „დინამოში" ჩემი შესაძლებლობები ჯერ არ ამომიწურავს და ალბათ კიდევ უფრო მოვუმატებ, მაგრამ სხვა გუნდებისგან ჯეროვანი წინააღმდეგობა რომ არ არის, ამიტომ ვამბობ, უცხოეთში წასვლა მინდა-მეთქი...

**— შარშან „ბათუმმა", წელს კი „ტორპედომ" სამ-სამი გოლი გაგიტანეს. ორ თამაშში მიღებული ექვსი გოლი განა ამ მატჩებში „დინამოს" დაცვის ხაზის შეცდომებზე არ მიუთითებს? თანაც ერთი ბურთი ცხრამეტი წლის აშვეთიამ გაგიტანათ, მეორე ჩვიდმეტი წლის შენგელიამ...**

— მაგ გოლებზე ამას ვიტყვი: ვფიქრობ, მსაჯს ჯარიმა არ უნდა მიეცა, როცა ჯელაძემ და მაჭავარიანმა მეგრელაძესთან ბრძოლაში ბურთი მეკარეს მიუგორეს, რაც შეეხება შენგელიას გოლს, დანამდვილებით ვიტყვი, რომ გიორგის ის დარტყმა მოეჭრა. როცა მან ფეხი ბურთის ჩასაწოდებლად მოიქნია, მე კართან მყოფ აშვეთიასკენ გავიწიე, დავფარე, შენგელიას წინ მდგომმა დავითნიძემაც შესაბამისი პოზიცია დაიკავა, ზოიძეც იქით გადაიწია. ბურთი კი მოიჭრა და კარში შევარდა...

თუმცა ამას, რა თქმა უნდა, თავის გასამართლებლად არ ვამბობ. ყოველ თამაშში ხომ არ ვხვდებით მსგავს წინააღმდეგობას. ზემოთ მკითხეთ, პროგრესი რამ გამოიწვიაო. სწორედ დაძაბულმა, ტემპიანმა და მაღალი კლასის თამაშებმა ევროტურნირებზე.

**— ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად უკვე ნაკრებშიც მოგიწვიეს. ამანაც ხომ არ გამოიწვია შენი სწრაფი პროგრესი?**

— ალბათ ესაცაა. სხვათა შორის, საქართველოს ნაკრების ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი ვარ. თვრამეტი წლისამ ვითამაშე პირველად. „სამტრედიაშიც" ძალზე ახალგაზრდამ, თხუთმეტი წლისამ ვითამაშე უმაღლეს ჯგუფში. მოკლედ, მწვრთნელების ნდობამ მარგო. სომხეთთან შეკრებაზე კი ვიყავი, მაგრამ დისკვალიფიკაციის გამო ვერ ვითამაშებდი, ყიფიანმაც საინგლისო შემადგენლობა დააყენა. ვიცი, რომ ყიფიანმა ჩემი შესაძლებლობები იცის და რომ არა დისკვალიფიკაცია, ალბათ სომხებთანაც ვითამაშებდი და ინგლისელებთანაც. რაკილა „დინამოშიც" და ნაკრებშიც ყიფიანია, მისი ნდობა ორმაგად დადებითად მოქმედებს ჩემზე.

**— საქართველოში თუ არის ფორვარდი, რომლის მეურვეობა გიჭირს?**

— თუ თავის ქებაში არ ჩამომართმევთ, ასეთ ფორვარდს ვერ ვხედავ.

**— „დინამო 2"-ში თუ ხედავ ახალგაზრდა მცველს, რომელზეც მალე ალაპარაკდებიან?**

— არის ასეთი ბიჭი, 17 წლის გიორგი შაშიაშვილი, რომელიც ალბათ მალე ძირითადში მოხვდება. იგი უფრო უკანა მცველის პოზიციაზე თამაშობს და, ვფიქრობ, შორს არ არის დრო, როცა პირველი „დინამოს" მაისურს ჩაიცვამს...

**— „უემბლიზე" ვერ მიდიხარ, მაგრამ ალბათ ბევრი გიფიქრია იმაზე, როგორ უნდა ვითამაშოთ წარმატების მისაღწევად.**

— მთავარი, ჩემი აზრით, ისაა, რომ წარმატების გჯეროდეს. თუ წარმატებისა არა გჯერა, თამაშს რა აზრი აქვს?

**— შენი აზრით, ჩვენს ნაკრებს „უემბლიზე" მოგების შანსი აქვს?**

— როგორ არა. არ არსებობს დედამიწაზე ნაკრები, რომლის დამარცხებაც არ შეიძლებოდეს. თუკი მწვრთნელის დავალებებს პირნათლად შეასრულებ, თავს არ დაზოგავ, სერიოზულად მოემზადები, რატომ არ შეიძლება ინგლისს მოუგო?! რომ ვილაპარაკოთ და ვიწუწუნოთ, ეს გვაკლია, პირობები არა გვაქვს და ასე შემდეგ, მაშინ რაღა აზრი აქვს თამაშს? თუ ფეხბურთელი ხარ, „უემბლიზე" უნდა ითამაშო. თუ იქ ძლიერად ითამაშე, ესე იგი, ძლიერი ფეხბურთელი ყოფილხარ და უყურადღებოდ არავინ დაგტოვებს. ჩვენს ბიჭებს აქვთ შანსი, რომ ამ თამაშის შემდეგ ძლიერ კლუბებში მოხვდნენ. ყველა რომ ამ შეგნებით გამოვა მინდორზე, მოგების შანსიც იქნება.

თუ ვიფიქრეთ, აუ, ინგლისია, როგორ გინდა მოუგო, მაშინ ნამდვილად დიდი ანგარიშით დავმარცხდებით.

**— შენი მომავალი როგორ წარმოგიდგენია?**

— ძალიან მინდა, ინგლისში ვითამაშო. მანამდე თუ ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშებ, ბედნიერი ვიქნები.

**— ამ „დინამოს" ვინ სჭირდება ისე გასაძლიერებლად, ჩემპიონთა ლიგის პირველი-ორი ბარიერი რომ დასძლიოს?**

— თუკი იაშვილი და კობიაშვილი დაგვემატნენ, სერიოზულ ძალად ვიქცევით. აი, ჯამარაულიც რომ მოგვცა...

**— ინგლისში და ჩემპიონთა ლიგაში თამაში რომ გინდა, ძალიან კარგია, მაგრამ ამისთვის ოსტატობასთან ერთად სხვა მხრივაც უნდა იყო მზად. თუნდაც „ბოავიშტა" გავიხსენოთ, ზანგმა ჯიმიმ ერთი მოხერხებული ფანდით მეორე ყვითელიც მიგაღებინა და საპასუხო თამაშიც გამოგატოვებინა...**

— მართალი ხართ. ამაში აღარ მოვტყუვდები, იმ ჯიმის გამო კი დღემდე განცვიფრებული ვარ. თუ გახსოვთ, იმ მატჩში გომეშს ფეხი არ გავანძრევინე. მის ნაცვლად ჯიმი შემოუშვეს. შემოვიდა თუ არა, იდაყვი ჩამარტყა. გაკვირვებული ვუყურებდი. ალბათ ჩემი გამოუცდელობა იგრძნო და როცა თამაში იმათ ნახევარზე მიმდინარეობდა, ქაცვები კოჭში ჩამასო. ტკივილისგან წავიქეცი და მსაჯიც თავზე წამოგვადგა. ვწევარ, ფეხი საშინლად კი მტკივა, მაგრამ გულში მიხარია, მგონია, ჯიმის გააძევებენ. მსაჯმა კი მე ამომიღო ყვითელი ბარათი! მას მერე ამაზეც დავფიქრდი და ასეთ რამეზე აღარ წამოვეგები. ისე უცხოეთში კარგ თამაშთან ერთად კარგი გაფორმებაც იციან.

**— მაშ, აღარც შიში გაქვს და ჩემპიონთა ლიგისთვის საჭირო გამოცდილებაც შეიძინე?**

— გამოცდილებაზე გითხარით, შიში კი „სპარტაკთან" დავტოვე...

**მამუკა კვარაცხელია**



კახა კალაძის შეტევა მერანელმა გელა ქორიძემ შეაჩერა

## იტალია

### XXVIII ტური

#### ბოლონია 0:1 იუვენტუსი

38 000 მაყურებელი
ბოლონია: ანტონიოლი, კარდონე (ბრამბილა 55), დე მარკი (ტაროცი 71), ტორიზი, მანგონე, პარამატი, სკენარდი, მაროკი, სკაპოლო, ანდერსონი, ფონტოლანი (ბრეშანი 59)
იუვენტუსი: პერუცი, ჟულიანო, ფერარა, მონტერო, დიმაში, დი ლივიო (ლომბარდო 79), ზიდანი (პორინი 85), დეშამპი, იუგოვიჩი, ბოკშიჩი, ვიერი (ამორუზო 63)
გოლი: ბოკშიჩი (41)
გაფრთხილება: იუგოვიჩი, ტაროცი, ბრამბილა

#### კალიარი 1:2 ინტერი

25 000 მაყურებელი
კალიარი: სტერჩელე, პანკარო, ვილა, მინოტი, ბეტარინი, მუცი (კოცა 65), ბერეტა (ლონსტრუპი 77), სანა (თინქლერი 58), ონილი, სილვა, ტოვალიერი
ინტერი: პალიუკა, ანგლომა, პაგანინი, გალანტე, პისტონე (დი ნაპოლი 87), ძანეტი, ბერტი (ბერგომი 58), ინსი, ვინტერი (ფრეზი 46), სამორანო, ბრანკა
გოლი: სამორანო (41), ინსი (50), ტოვალიერი (79)
გაფრთხილება: ვინტერი, ვილა, სანა, ფრეზი, პანკარო

#### ფიორენტინა 2:1 რომა

38 000 მაყურებელი
ფიორენტინა: ტოლდო, ფალკონე, პადალინო, ამორუზო, სერენა (პუშედუ 66), კანჩელსკისი, შვარცი, რუი კოშტა, ოლივეირა (პიაჩენტინი 60), ბატისტუტა, რობიატი (ბაიანო 46)
რომა: ჩერვონე, პივოტო, პეტრუცი, ალდაირი, მორიერო (დი ბიაჯო 46), სტატუტო (ტომაზი 78), ტერნი, კანდელა, ბალბო, ფონსეკა, დელვეკიო (ტოტი 46)
გოლი: რობიატი (6), პეტრუცი (36 საკ. კარში), ბალბო (76)
გაფრთხილება: ჩერვონე, ფონსეკა, პადალინო, კანდელა, დი ბიაჯო

#### პარმა 0:2 უდინეზე

26 000 მაყურებელი
პარმა: ბუფონი, მუსი (ზე მარია 70), ტურამი, კანავარო, ბენარივო, კრიპა, დ. ბაჯო, სენსინი (ტრუცი 82), სტრადა (ბროლინი 77), მელი, კრესპო
უდინეზე: კანიატო, ჰელვეგი, პიერინი, კალორი, სერჯო (ბერტოტო 90), ჯარგო, როსიტო, ჯანიკედა, პოჯი (კაპიოლი 87), ბირჰოფი, ამოროზო (ლოკატელი 60)
გოლი: პიერინი (67), ბირჰოფი (87 პ)
გაფრთხილება: სტრადა, მუსი, ბაჯო, ბენარივო, ჯანიკედა, პიერინი, კალორი, როსიტო, სერჯო

#### სამპდორია 0:0 ვერონა

20 000 მაყურებელი
სამპდორია: ფერონი, ბალერი, დინგი, მიხაილოვიჩი, პეზარეზი, ვერონი, კარემბუ (კარპარელი 71), ფრანჩესკეტი, ლეილი (სალსანო 57), მონტელა, მანჩინი
ვერონა: გვარდალბენი, კავერძანი, სივილია, ფატორი, ვანოლი (ბრაიკოვიჩი 88), ორლანდინი (მანეტი 46), ამეტრანო, ბაკი, ფიკადენტი, მანიერო, ძანინი (კოლუჩი 63)
გაფრთხილება: მიხაილოვიჩი, პეზარეზი, მანიერო

#### ლაციო 6:1 რეჯანა

35 000 მაყურებელი
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, გრანდონი, შამოტი, ფავალი, რამბაუდი (ბუზო 61), ფუზერი, ვენტურინი, ნედვედი, პროტი (კაზირაგი 76), სინიორი (ფიში 69)
რეჯანა: ბალოტა, პარენტე, გალი, კერუბინი (კარი 83), ბაიერსდორფერი (გრიუნი 26), გროსი (საბეუ 50), ლონგი, მაცოლა, ტონეტო, მინეტი, სიმუტენკოვი
გოლი: სინიორი (11 პ), ნედვედი (15, 66), პროტი (21, 32, 36), სიმუტენკოვი (42)
70-ე წუთზე სიმუტენკოვმა პენალტი ვერ გაიტანა
გაფრთხილება: გრიუნი
გაძევება: შამოტი (69)

#### მილანი 0:0 პიაჩენცა

40 000 მაყურებელი
მილანი: როსი (პაგოტო 31), კოსტაკურტა, ვერხოვოდი, ბარეზი, მალდინი, ერანიო (სავიჩევიჩი 46), ალბერტინი, ბობანი, ბლომკვისტი (სიმონე 63), ვეა, რ. ბაჯო
პიაჩენცა: ტაიბი, ლუჩი, პოლონია, დელი კარი, ტრამეძანი, დი ფრანჩესკო, პარი, შიენცა, ვალოტი (პინი 73), ტენტონი (ლუიზო 77), პიოვანი (მორეტი 91)
მე-40 წუთზე ალბერტინიმ პენალტი ვერ გაიტანა
გაფრთხილება: ბარეზი, დელი კარი, პარი, ტრამეძანი

#### ვიჩენცა 4:1 პერუჯა

13 000 მაყურებელი
ვიჩენცა: მონდინი (ბრივიო 76), მენდესი, სარტორი (მ. როსი 64), ვივიანი, დიგნაციო, ბეგეტო, ოტერო, დი კარლო, ამბროზეტი, მაინი, კორნაჩინი (ჯენტილინი 72)
პერუჯა: ბუჩი, გაუტიერი, კასტელინი, მატრეკანო, დიჩარა (მატერაცი 53), დი კა-

# „პარმას“ თავში ქვა უხლიათ


AP ფოტოქრონიკა

ფიორენტინა — რომა. ბატისტუტა თანაგუნდელ ოლივეირას ულოცავს მეორე გოლს, რომაელი პეტრუცის ავტოგოლად რომ გაფორმდა

არა, გორეტი, ჯუნტი, კრეკი, ნეგრი, რაპაიჩი (კოტინი 18)
გოლი: ამბროზეტი (24), კორნაჩინი (27), ოტერო (37), ბეგეტო (47), გორეტი (66)
გაფრთხილება: ვივიანი, დიჩარა
გაძევება: მატრეკანო (13), ჯუნტი (73)

#### ნაპოლი 0:1 ატალანტა

40 000 მაყურებელი
ნაპოლი: ტალიალატელა, ბალდინი, მილანეზე, აიალა (ბორდინი 79), კოლონეზე (ალტომარე 80), კრუსი, ბოლოსიანი, პეკია, ესპოზიტო, კაიო (კაჩა 46), ალიეტი
ატალანტა: მიკილო, კარერა, მირკოვიჩი, რუსტიკო, სოტილი, ბონაჩინა, სგრო, გალო (კარბონე 92), პერსონი (ფორტუნატო 82), მაგალიანესი (როსინი 79), ინძაგი
გოლი: ინძაგი (20)
გაფრთხილება: მაგალიანესი, რუსტიკო, სგრო, მილანეზე, პერსონი

სკუდეტოს მაძიებელთა საქმე ასე იყო: „იუვე“ ბოლონიაში იბრძოდა, მისი მდევარი „პარმა“ კი მეორე დღეს სწორედ იმ „უდინეზეს“ მასპინძლობდა, წინა კვირას „ბებერ ქალბატონს“ რომ მოუგო.

დეკემბრის მერე არ შეეგდო ხორვატ თავდამსხმელს ალენ ბოკშიჩს. ნაირნაირი ტრავმებით გაწვალებულს მანამდეც ორად ორი მოეხერხებინა და ამიტომაც იყო „ბოლონიის“ კარში გატანილი ბრწყინვალე გოლი, მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე „იუვეს“ მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ ცალკე აღსანიშნავ თემად რომ მიიჩნია:

— ბოკშიჩისთვის ამ გოლის გატანა ფსიქოლოგიურად იყო მნიშვნელოვანი. მან საუცხოოდ ითამაშა. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ბოლო სამ თვეში პირველად იბრძოლა ოთხმოცდაათივე წუთის განმავლობაში.

ეს, მატჩის ერთადერთი გოლი, პირველი ტაიმის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე გავიდა. ხორვატმა სამ მცველს გამოავლო პირში ჩალა და ბურთი შორეულ ძელთან შეაგდო.

— დღეს ჩემმა გუნდმა მობილიზებულად და ჟინიანად ითამაშა. სწორედ ასეთ რეაქციას ველოდი ბიჭებისგან. მათ „უდინეზესთან“ მარცხის შემდეგ საკუთარი თავისთვის სურდათ ბევრი რამის დამტკიცება. იცოდნენ, რომ ძნელი მატჩი ელოდათ, მაგრამ საკუთარ ძალებშიც არანაკლებ იყვნენ დარწმუნებულნი. მწამდა, რომ ჩემს იმედს არ უღალატებდნენ — ბრძანა მარჩელო ლიპიმ.

ამ შეხვედრაში, ბოლონიისთვის არნახულად ბევრი, 38 ათასი მაყურებელი რომ დაესწრო და ადგილობრივი სალარო 1,8 მილიარდი ლირით, ანუ 1,1 მილიონი დოლარით შეავსო, „იუვენტუსის“ და იტალიის ნაკრების მეკარემ ანჯელო პერუციმაც დაამახსოვრა ხალხს თავი. ერთ ეპიზოდში, საჯარიმო მოედნის გარეთ, მან მეტოქეს ზედიზედ ორი შეტევა... თავით ჩაუშალა.

— მე რა მეთქმის, „იუვენტუსის“ მოგება ფაქტად მივიღე და ეგაა. ან კი „ბოლონიას“ რომ გაემარჯვა, ჩვენთვის რაიმე შეიცვლებოდა? ასე მოხდა თუ ისე, ხვალ „უდინეზე“ უნდა დავამარცხოთ — „პარმას“ მწვრთნელის კარლო ანჩელოტის კომენტარი საქმიანი გახლდათ — არადა „უდინეზეს“ მოგება იოლი საქმე არ იქნება. ჩემთვის აშკარაა, რომ გუნდი, რომელსაც „იუვენტუსის“ 3:0 ძლევა შეუძლია, კარგ ფორმაშია და ერთი მიღწევით არ დაკმაყოფილდება.

ანჩელოტის, ეტყობა, გული ავსაც ეუბნებოდა. გულმავე ათქმევინა ლიპის ეს სიტყვები: არ მაინტერესებს, ხვალ „პარმა“ რას იზამს, მე სხვა თამაშის ნახვას ვაპირებ.

„პარმას“ თავდამსხმელები ენრიკო კიეზა და მარიო სტანიჩი აკლდნენ, „უდინეზეს“ კარს კი კანიატო იცავდა. კანიატო, თვეში 3 მილიონ ლირას ანუ 1 800 დოლარს რომ იღებს, იმ დღეს ძელებს შუა ამ სეზონში მეორედ იდგა. კანიატომ კარი კარგად დაიცვა, მისმა თანაგუნდელებმა კი მასპინძლებს ორი გოლი გაუტანეს. ეს მეორე ტაიმში მოხდა. ჯერ ჯარიმიდან ჩაწოდებულით ალესანდრო პიერინიმ ანგარიში გახსნა, ხოლო შემდეგ ანტონიო ბენარივომ ბირჰოფი წააქცია და ამისთვის ბირჰოფისვე გატანილი პენალტით დაისაჯა.

„ინტერს“ მომავალი სეზონიდან „ნაპოლის“ ახლანდელი მწვრთნელი ლუიჯი სიმონი გაუძღვება. ეს დაადასტურა მილანელი შავ-ლურჯების პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ:

— სიმონი თავიდან ასაწყობ გუნდში არ მოდის. ის მოდის გუნდში, რომელსაც თითოეულ რგოლში თითო შენაძენი სჭირდება, რათა ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლოს. მე მას ხშირად არ შევხვედრივარ, მაგრამ გაცნობისთანავე სიმპათიით განვეწყვე.

არადა, სანამ „ინტერს“ ინგლისელი როი ჰოჯსონი წვრთნის, საქმე კარგადაა. მილანელებმა მორიგი გამარჯვება მოიპოვეს. პირველი ნახევრის მიწურულს ინგლისელი პოლ ინსის პასით ჩილელმა ივან სამორანომ თაური გოლი გაიტანა, შესვენების შემდეგ კი თავად ინსმა მაკრატელა დარტყმით მიაღწია მიზანს. სარდინიელებმა ერთი გოლით მოგვიანებით უპასუხეს: ტოვალიერიმ სეზონში თავისი მე-14 გოლი გაიტანა.

„ინტერზე“ საუბარი ინსის ამბებით დავასრულოთ. ამ ფეხბურთელის გუნდიდან წასვლა-დარჩენაზე ერთი ამბავი, ჭოჭმანი და ვიშვიშია ატეხილი. ერთ დღეს ამბავი ატყდება, პოლი იტალიიდან მიდისო, მეორე დღეს კი სხვას ამბობენ. ბოლო დღის საქმე ასე იყო:

— ინსმა ღმერთივით ითამაშა. მისი გაყიდვის სურვილი დღითიდღე მიქრება — იმკვეხელა მორატიმ, თავად ინსმა კი ამ თემაზე საუბრისგან თავი შეიკავა, მხოლოდ ეს თქვა, ჩემს დღევანდელ გოლს სამი წლის საშა ჯორკაეფს ვუძღვნიო. იტალიური მიმოხილვის მკითხველები საშა იურიევიჩის ვინაობას ალბათ იოლად მიხვდებიან, ჩვენ კი მილანის მეორე გუნდზე გადავიდეთ.

საკის ბიჭებმა „პიაჩენცასთან“ 0:0 ითამაშეს. ამ შემთხვევაში მათ ერთი ჩინებული შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან: დემეტრიო ალბერტინიმ პენალტიდან ძელს გაარტყა ბურთი. ამრიგად, „მილანის“ ბოლო სამი შედეგი ერთობ მოკრძალებული გამოვიდა: „იუვენტუსთან“ 1:6, „ინტერთან“ 1:3 და „პიაჩენცასთან“ 0:0. ტვინიჭყლეტიებმა იმასაც გაუსვეს ხაზი, რომ „პიაჩენცა“ სწორედ ის გუნდია, რომელმაც პირველ წრეში, 1 დეკემბერს „მილანს“ 1:0 მოუგო. სწორედ ამ შედეგმა შეიწირა საკის წინამორბედის ურუგვაელი ოსკარ ტაბარესის თანამდებობა. ახლა კითხვა ასე ისმის, იქნებ საკიც გასაშვებია? სილვიო ბერლუსკონი მას ასე პასუხობს:

— სამსახურიდან არასდროს არავინ გამიგდია. ნუთუ თქვენ ფიქრობთ, რომ პირველი, ვისაც ასე მოვეპყრობი, ჩემი მეგობარი არიგო საკი იქნება?

აწეწილ საქმეებზე ისაუბრა „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმაც. იგი სხვა პრობლემას შეეხო:

— მე ვნახე მაშხალები, რომლებიც მაყურებელმა „ინტერთან“ შეხვედრის დროს ისროლა მოედანზე. ისინი 60-70 სანტიმეტრის სიგრძისანი არიან და რამდენიმე ასეულ გრამს იწონიან. მეორე რიგიდან ნასროლმა ასეთმა საგანმა შეიძლება ვინმე მოკლას კიდეც. ასეთი ქცევის შემყურეს გულშემატკივრებისთვის ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ესაა — გეყოფათ! გეყოფათ სხვათა სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდება. თუ ცხრაწლიანი წარმატებების შემდეგ კლუბის გაკრიტიკება გსურთ, კი ბატონო, მაგრამ არა სხვათა უსაფრთხოების ხარჯზე.

გალიანიმ მტკიცედ თქვა, რომ ყველა ღონეს იხმარს, რათა ფედერაციას 50 მილიონ ლირიანი ჯარიმა გააუქმებინოს. მისი თქმით, საქმე პრინციპს ეხება. ვილაცათა ხულიგნობა კლუბმა არ უნდა ზღოს.

— ამ თანხას, თუ გსურთ, საქველმოქმედო საქმეებისთვის გადავრიცხავთ — განაცხადა მან.

**პაპუნა ქედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 28 | 15 | 10 | 3 | 41:19 | 55 |
| პარმა | 28 | 14 | 7 | 7 | 31:22 | 49 |
| ინტერი | 28 | 12 | 12 | 4 | 40:27 | 48 |
| სამპდორია | 28 | 12 | 8 | 8 | 49:39 | 44 |
| ლაციო | 28 | 12 | 7 | 9 | 38:28 | 43 |
| ბოლონია | 28 | 12 | 7 | 9 | 43:35 | 43 |
| უდინეზე | 28 | 11 | 8 | 9 | 39:34 | 41 |
| ვიჩენცა | 28 | 10 | 9 | 9 | 39:33 | 39 |
| ფიორენტინა | 28 | 9 | 12 | 7 | 36:30 | 39 |
| ატალანტა | 28 | 10 | 9 | 9 | 37:35 | 39 |
| მილანი | 28 | 10 | 7 | 11 | 36:37 | 37 |
| რომა | 28 | 9 | 9 | 10 | 40:39 | 36 |
| ნაპოლი | 28 | 7 | 13 | 8 | 30:35 | 34 |
| პიაჩენცა | 28 | 5 | 14 | 9 | 21:33 | 29 |
| კალიარი | 28 | 6 | 9 | 13 | 33:46 | 27 |
| პერუჯა | 28 | 7 | 6 | 15 | 34:53 | 27 |
| ვერონა | 28 | 5 | 8 | 15 | 33:52 | 23 |
| რეჯანა | 28 | 2 | 13 | 13 | 25:48 | 19 |

## სერია B

30-ე ტური: ბარი — სალერნიტანა 2:1, დი სანგრო — რეჯინა 1:0, კიევო — ჯენოა 1:1, კოზენცა — კრემონეზე 2:1, ლუკეზე — პესკარა 1:0, პადოვა — ბრეშია 2:0, პალერმო — ჩეზენა 0:1, რავენა — ლეჩე 0:0, ტორინო — ფოჯა 1:1, ვენეცია — ემპოლი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრეშია | 30 | 15 | 9 | 6 | 39:25 | 54 |
| ლეჩე | 30 | 13 | 11 | 6 | 42:33 | 50 |
| ემპოლი | 30 | 13 | 10 | 7 | 39:31 | 49 |
| რავენა | 30 | 13 | 10 | 7 | 35:25 | 46 |
| ჯენოა | 30 | 10 | 14 | 6 | 42:23 | 44 |
| ბარი | 30 | 10 | 14 | 6 | 40:30 | 44 |
| პესკარა | 30 | 11 | 11 | 8 | 38:29 | 44 |
| ტორინო | 30 | 11 | 10 | 9 | 38:33 | 43 |
| კიევო | 30 | 9 | 16 | 5 | 34:30 | 43 |
| ფოჯა | 30 | 10 | 10 | 10 | 31:32 | 40 |
| პადოვა | 30 | 8 | 13 | 9 | 33:35 | 37 |
| რეჯინა | 30 | 9 | 10 | 11 | 30:34 | 37 |
| ვენეცია | 30 | 8 | 12 | 10 | 34:35 | 36 |
| დი სანგრო | 30 | 9 | 7 | 14 | 19:33 | 34 |
| ჩეზენა | 30 | 7 | 11 | 12 | 26:33 | 32 |
| ლუკეზე | 30 | 7 | 11 | 12 | 23:33 | 32 |
| კოზენცა | 30 | 8 | 8 | 14 | 33:44 | 32 |
| სალერნიტანა | 30 | 7 | 11 | 12 | 21:34 | 32 |
| პალერმო | 30 | 5 | 14 | 11 | 20:40 | 29 |
| კრემონეზე | 30 | 6 | 10 | 14 | 21:36 | 28 |

## პორტუგალია

27-ე ტური: ბელენენსეში — შავეში 0:0, ლეირია — სალგეირუში 0:1, სეტუბალი — ამადორა 1:2, ბრაგა — ბოავიშტა 1:0, ბენფიკა — ესპინიუ 2:0, გიმარაეში — ფარენსე 3:2, პორტუ — რიუ ავე 2:2, ლეცა — მარიტიმუ 1:0, ჟილ ვისენტე — სპორტინგი 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 27 | 21 | 4 | 2 | 63:19 | 67 |
| სპორტინგი | 27 | 18 | 5 | 4 | 44:14 | 59 |
| ბენფიკა | 27 | 15 | 6 | 6 | 45:21 | 51 |
| გიმარაეში | 27 | 13 | 5 | 9 | 46:39 | 44 |
| სალგეირუში | 27 | 12 | 8 | 7 | 41:37 | 44 |
| ბრაგა | 27 | 12 | 7 | 8 | 34:37 | 43 |
| ამადორა | 27 | 11 | 9 | 7 | 34:28 | 42 |
| შავეში | 27 | 10 | 7 | 10 | 34:39 | 37 |
| ბელენენსეში | 27 | 9 | 8 | 10 | 32:41 | 35 |
| ბოავიშტა | 27 | 7 | 12 | 8 | 37:32 | 33 |
| მარიტიმუ | 27 | 9 | 6 | 12 | 28:36 | 33 |
| სეტუბალი | 27 | 8 | 8 | 11 | 30:36 | 32 |
| ფარენსე | 27 | 7 | 10 | 10 | 23:27 | 31 |
| ლეცა | 27 | 8 | 7 | 12 | 28:33 | 31 |
| ესპინიუ | 27 | 8 | 4 | 15 | 22:42 | 28 |
| რიუ ავე | 27 | 6 | 7 | 14 | 30:38 | 25 |
| ლეირია | 27 | 5 | 5 | 17 | 20:42 | 20 |
| ჟილ ვისენტე | 27 | 2 | 6 | 19 | 24:54 | 12 |

## ჰოლანდია

29-ე ტური: გრონინგენი — უტრეხტი 2:2, ჰერენვენი — ვალვაიკი 2:0, აზ 67 — როდა 1:3, ეინდჰოვენი — გრააფსხაპი 5:0, ბრედა — ვიტესი 1:1, ფეიენორდი — სიტარდი 4:4, ტილბურგი — სპარტა 1:1, აიაქსი — ნაიმეგენი 5:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი | 29 | 20 | 5 | 4 | 76:20 | 65 |
| ფეიენოორდი | 29 | 19 | 6 | 4 | 53:28 | 63 |
| ტვენტე | 28 | 17 | 4 | 7 | 47:23 | 55 |
| აიაქსი | 28 | 14 | 9 | 5 | 43:23 | 51 |
| ჰერენვენი | 29 | 13 | 11 | 5 | 52:34 | 50 |
| როდა | 29 | 13 | 7 | 9 | 44:38 | 46 |
| ვიტესი | 28 | 12 | 9 | 7 | 44:32 | 45 |
| ბრედა | 29 | 10 | 9 | 10 | 39:43 | 39 |
| გრააფსხაპი | 29 | 10 | 6 | 13 | 41:48 | 36 |
| უტრეხტი | 29 | 6 | 14 | 9 | 36:39 | 32 |
| გრონინგენი | 29 | 7 | 11 | 11 | 34:50 | 32 |
| სიტარდი | 29 | 7 | 11 | 11 | 28:45 | 32 |
| ტილბურგი | 28 | 8 | 6 | 14 | 31:45 | 30 |
| ვოლენდამი | 29 | 7 | 9 | 13 | 27:48 | 30 |
| სპარტა | 28 | 8 | 5 | 15 | 31:42 | 29 |
| ნაიმეგენი | 29 | 5 | 9 | 15 | 29:55 | 24 |
| ვალვაიკი | 28 | 5 | 7 | 16 | 28:53 | 22 |
| აზ 67 | 29 | 5 | 6 | 18 | 22:39 | 21 |

## ბელგია

31-ე ტური: ანტვერპენი — სტანდარდი 3:0, აალსტი — მეხელენი 3:1, ჰარელბეკე — სენტ ტრიუდენი 1:1, ანდერლეხტი — ბრიუგე 0:1, გენტი — გენკი 0:1, სერკლ ბრიუგე — მოლენბეკი 1:1, მუსკრონი — ეკერენი 1:4, ლომელი — შარლერუა 2:1, ლოკერენი — ლიერსი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიერსი | 31 | 19 | 10 | 2 | 60:32 | 67 |
| ბრიუგე | 31 | 20 | 5 | 6 | 64:32 | 65 |
| მუსკრონი | 31 | 16 | 9 | 6 | 55:36 | 57 |
| ლომელი | 31 | 15 | 7 | 9 | 44:43 | 52 |
| ანდერლეხტი | 31 | 14 | 10 | 7 | 50:32 | 52 |
| ანტვერპენი | 31 | 14 | 5 | 12 | 44:41 | 47 |
| ჰარელბეკე | 31 | 12 | 10 | 9 | 45:33 | 46 |
| სტანდარდი | 31 | 14 | 2 | 15 | 50:50 | 44 |
| გენკი | 31 | 12 | 8 | 11 | 42:36 | 44 |
| ეკერენი | 31 | 10 | 7 | 14 | 43:51 | 37 |
| სტ. ტრიუდენი | 31 | 9 | 8 | 14 | 41:52 | 35 |
| შარლერუა | 31 | 9 | 7 | 15 | 41:48 | 34 |
| ლოკერენი | 31 | 9 | 7 | 15 | 37:52 | 34 |
| მოლენბეკი | 31 | 8 | 10 | 13 | 29:37 | 34 |
| გენტი | 31 | 9 | 6 | 16 | 42:55 | 33 |
| აალსტი | 31 | 7 | 10 | 14 | 40:53 | 31 |
| მეხელენი | 31 | 7 | 10 | 14 | 33:48 | 31 |
| სერკლ ბრიუგე | 31 | 5 | 9 | 17 | 31:60 | 24 |

## პოლონეთი

26-ე ტური: ვისლა — შლიონსკი 1:0, რუხი — ამიცა 2:2, გურნიკი — სოკოლი 6:0, ლეხი — ვიძევი 1:2, ოდრა — გკს 0:0, პოლონია — ლეგია 1:1, ჰუტნიკი — რაკოვი 3:1, ბელხატოვი — ზაგლებიე 1:0, სტომილი — ლკს 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლეგია | 26 | 18 | 4 | 4 | 45:20 | 58 |
| ვიძევი | 26 | 17 | 6 | 3 | 49:15 | 57 |
| გკს | 26 | 11 | 11 | 4 | 34:26 | 44 |
| ოდრა | 26 | 12 | 5 | 9 | 41:34 | 41 |
| ამიცა | 26 | 11 | 6 | 9 | 32:33 | 39 |
| პოლონია | 26 | 11 | 6 | 9 | 28:32 | 39 |
| ლკს | 26 | 9 | 10 | 7 | 38:33 | 37 |
| სტომილი | 26 | 10 | 5 | 11 | 33:32 | 35 |
| ზაგლებიე | 26 | 9 | 8 | 9 | 30:30 | 35 |
| ლეხი | 26 | 9 | 7 | 10 | 30:30 | 34 |
| ვისლა | 26 | 9 | 7 | 10 | 22:26 | 34 |
| ბელხატოვი | 26 | 9 | 5 | 12 | 31:34 | 32 |
| რაკოვი | 26 | 8 | 8 | 10 | 24:30 | 32 |
| გურნიკი | 26 | 8 | 5 | 13 | 31:38 | 29 |
| ჰუტნიკი | 26 | 6 | 10 | 10 | 21:27 | 28 |
| რუხი | 26 | 4 | 11 | 11 | 24:31 | 23 |
| შლიონსკი | 26 | 5 | 6 | 15 | 21:38 | 21 |
| სოკოლი | 26 | 5 | 6 | 15 | 18:43 | 21 |

## ესპანეთი

XXXV ტური

**ატლეტიკო 3:1 ვალიადოლიდი**
1:0 აგილერა (21), 2:0 კამინერო (85), 3:0 აგილერა (86), 3:1 პეპედო (88)

**სპორტინგი 1:1 ესტრემადურა**
1:0 ჩერიშევი (51), 1:1 დურე (56)

**სევილია 2:0 სელტა**
1:0 ულიდა (26), 2:0 პროსინეჩკი (72)

**კომპოსტელა 2:2 ერკულესი**
1:0 ოჰენი (1), 1:1 ამატო (59), 2:1 ოჰენი (81), 2:2 ვილენა (88 საკ. კარში)

**სარაგოსა 3:2 რაიო ვალეკანო**
0:1 გილერმე (3), 0:2 გილერმე (19), 1:2 პოიეტი (42), 2:2 მორიენტესი (52), 3:2 მორიენტესი (82)

**სოსიედადი 1:0 ოვიედო**
1:0 კრაიოვეანუ (24)

**რასინგი 1:1 ესპანიოლი**
1:0 ალბერტო ლოპესი (48), 1:1 უედეკი (70)

**ბარსელონა 2:0 ბილბაო**
1:0 აბელარდო (49), 2:0 რონალდო (66)

**ლოგრონიესი 1:2 დეპორტივო**
0:1 რივალდო (10), 0:2 რივალდო (68 პ), 1:2 სოსა (74)

**ბეტისი 1:0 ტენერიფე**
1:0 ხუანი (23)

**ვალენსია — რეალი წუხელ გაიმართა.**

„ბეტისმა" თავსხმაში გაიმარჯვა. ხუან კანასის დარტყმა რიკოშეტით შევარდა კანარის კუნძულელთა კარის ბადეში. „ტენერიფემ" მეორე ტაიმში შემოიკრა თავში ხელი, როდესაც მასპინძელთა მეკარემ ტონი პრატსმა მეჰო კოდრო წააქცია, რისთვისაც პენალტი დანიშნეს. დარტყმა ხუანელემ ითავა, მაგრამ ბურთი ძელს გაარტყა. ამ გამარჯვებით „ბეტისი" მეორე ადგილისთვის ბრძოლას განაგრძობს, თუმცა მომდევნო შეხვედრაში ერთი დანაკლისი ექნება: ფორვარდმა ალფონსო პერესმა ყვითელი მიიღო, მეხუთე მიმდინარე სეზონში.

„ბარსელონამ" ბასკეთის გუნდს სძლია. როდესაც შეხვედრის დასაწყისში იულენ გერერომ გზა გაიკაფა და ბურთი ძელს მოარტყა, კატალონიელებს ალბათ წინა მატჩი და „ვალიადოლიდთან" წაგებული კომმარული 1:3 გაახსენდათ, მაგრამ ძალ-ღონე მოიკრიბეს და უპირატესობა იგდეს ხელთ. მიუხედავად ამისა პირველი ტაიმის მონდომებამ შედეგი არ გამოიღო. სხვაგვარი გამოდგა შესვენების შემდგომი ორმოცდახუთი წუთი. თავიდან, გვარდიოლას ჩაკიდებულ ჯარიმას აბელარდო ჰაერში აჰყვა და თაურით გახსნა ანგარიში. 66-ზე, მეორე გოლი ბრაზილიურად გავიდა. ჯოვანიმ რონალდოს მიაწოდა და ბომბარდირმაც თავი არ შეირცხვინა, ხოლო თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე სტუმრებს ოსკარ ვალესი რომ გაუძევეს მოედნიდან, ნათელი გახდა, რომ მათ რაიმეს გამოსადონობად ნამცეცისხელა შანსიც აღარ დარჩათ.

და მაინც, „ბარსას" მწვრთნელი ბობი რობსონი სრულიად კატალონიური ლანძღვის საგანია, ხოლო კლუბის პრეზიდენტს ხოსე ლუის ნუნიესს მერამდენედ უხდება მისი საჯაროდ დაცვა.

— მთელს ბარსელონაში ერთდერთი კაცი მწვრთნელებს რომ იცავს, მე ვარ — განაცხადა ნუნიესმა და დასძინა რობსონის მომავალი მხოლოდდამხოლოდ მასზეა დამოკიდებულიო. ნუნიესმა აგრეთვე უარჰყო, რომ განაახლა კავშირი „აიაქსის" მწვრთნელთან ლუის ვან გაალთან, მომავალი სეზონიდან გადასაბირებლად.

— „ბარსელონას" ერთი ოფიციალური წარმომადგენელიც კი არ ყოფილა ჰოლანდიაში ვან გაალთან სალაპარაკოდ — განაცხადა მან.

გაზეთები კი ამასობაში მწვავე სათაურებს ეძებენ. „ას"-მა რობსონს მსოფლიოს უარესი მწვრთნელი დაარქვა და თემა ასე განავრცო: „ბარსაში" ვან გაალი უნდა ჩამოვიყვანოთ, თუნდ საამისოდ ესპანეთის უსაფრთხოების სამსახურის მიერ მისი დატყვევება დაგვჭირდესო.

„სოსიედადმა" უმწვრთნელო „ოვიედო" დაამარცხა. რუმინელმა გეორგ კრაიოვეანუმ, სამიოდ წლის წინ თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ კრაიოვას „უნივერსიტატიას" შემადგენლობაში რომ აქვს ნათამაშევი, გადამწყვეტი გოლი გაუტანა გუნდს, რომელმაც, წინა ტურში, შინ 1:5 წაგებისთვის სამსახურიდან გააგდო ხუან მანუელ ლილო. ლილოს ადგილს სეზონის ბოლომდე ასისტენტი ხოსე ანტონიო ნოიო, შეითავსებს.

ლილო მეთხუთმეტე მწვრთნელია მიმდინარე სეზონში ესპანეთის უმაღლესი დივიზიონის გუნდიდან რომ გაუშვეს. მანამდე, 24 საათით ადრე ხიხონის „სპორტინგმა" გაანთავისუფლა ადრე „რეალში" ნამუშევარი ბენიტო ფლორო. მიზეზი, „ბილბაოსთან" 0:4 წაგება გახლდათ. ფლორომოცილებულმა ხიხონელებმა შინ „ესტრემადურას" ვერ მოუგეს — 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 34 | 23 | 10 | 1 | 72:27 | 79 |
| ბარსელონა | 35 | 22 | 6 | 7 | 88:43 | 72 |
| ბეტისი | 35 | 20 | 11 | 4 | 74:36 | 71 |
| დეპორტივო | 35 | 19 | 12 | 4 | 52:25 | 69 |
| ატლეტიკო | 34 | 17 | 8 | 9 | 64:50 | 62 |
| ვალიადოლიდი | 35 | 15 | 9 | 11 | 50:42 | 54 |
| ბილბაო | 35 | 12 | 15 | 8 | 63:51 | 51 |
| სოსიედადი | 35 | 14 | 8 | 13 | 40:38 | 50 |
| ტენერიფე | 34 | 13 | 8 | 13 | 55:42 | 47 |
| ვალენსია | 34 | 13 | 7 | 14 | 52:48 | 46 |
| რასინგი | 35 | 11 | 13 | 11 | 44:40 | 46 |
| სელტა | 35 | 10 | 12 | 13 | 43:44 | 42 |
| კომპოსტელა | 35 | 10 | 11 | 14 | 39:56 | 41 |
| სარაგოსა | 35 | 9 | 13 | 13 | 46:55 | 40 |
| ესტრემადურა | 35 | 10 | 10 | 15 | 30:48 | 40 |
| ესპანიოლი | 35 | 10 | 9 | 16 | 37:47 | 39 |
| რაიო | 35 | 11 | 6 | 18 | 36:50 | 39 |
| ოვიედო | 35 | 10 | 8 | 17 | 35:58 | 38 |
| სპორტინგი | 35 | 9 | 9 | 17 | 36:59 | 36 |
| ერკულესი | 35 | 9 | 5 | 21 | 34:64 | 32 |
| სევილია | 35 | 8 | 6 | 21 | 33:60 | 30 |
| ლოგრონიესი | 35 | 8 | 4 | 23 | 27:73 | 28 |



ატლეტიკო — ვალიადოლიდი. ახლა მადრიდელი კარლოს აგილერა სტუმართა მეკარე სანჩესს მოატყუებს და პირველ გოლს გაიტანს

## გერმანია

**28-ე ტური. ჰანზა — მიონხენგლადბახი 1:0, დიუსელდორფი — დუისბურგი 1:1, მიუნხენ 1860 — ბოხუმი 0:1, ფრაიბურგი — ზანქტ პაული 4:0, ვერდერი — კარლსრუე 1:0, ჰამბურგი — შალკე 1:0, კიოლნი — არმინია 2:5, დორტმუნდი — ბაიერნი 1:1, შტუტგარტი — ლევერკუზენი 1:2**

პაულუ სერჟიოს და ულფ კირსტენის გოლებმა „ლევერკუზენს" სტუმრად „შტუტგარტი" დაამარცხებინა და მიუნხენის „ბაიერნის" შემდგომ მეორე ადგილზე აანაცვლა. მეტოქის 50 ათასი გულშემატკივრის წინ „ლევერკუზენმა" ელვისებური კონტრშეტევით 42-ე წუთზე გახსნა ანგარიში. კერძოდ, ჰანს პეტერ ლენჰოფმა მარჯვენა ფრთა გაარღვია და კირსტენს მიაწოდა. სანამ „შტუტგარტის" მეკარე ფრანც ვოლფარტი ხეირიან პოზიციაზე დაბრუნებას ლამობდა, კირსტენის დარტყმული თომას ბერთოლდმა მოიგერია, მაგრამ სხვებს ბრაზილიელმა პაულუ სერჟიომ დაასწრო და ბურთი ბადეში შეაგდო. სხვათა შორის, სერჟიო ბარძაყის კუნთის დაჭიმვის გამო 64-ე წუთზე შეცვალეს, მაგრამ ამას ლევერკუზენელთა ტაქტიკაში ცვლილება არ გამოუწვევია. ამ ამბიდან გავიდა ოთხი წუთი და სტუმრებმა მეორე სწრაფი, შედეგიანი კონტრშეტევა განახორციელეს. პასი იენს ნოვოტნიმ ჩააწოდა, კირსტენმა კი ზუსტი თაური დაარტყა. ახლა კირსტენს, რომელმაც ამასწინათ, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ალბანელებს ჰეთ-ტრიკი შეუსრულა, ბუნდესლიგის ჩემპიონატში 15 გოლი აქვს გატანილი და ბომბარდირთა ლიდერს შტუტგარტელ ფრედი ბობიჩს სამით ჩამორჩება. მიუხედავად ამ ლიდერობისა, „ლევერკუზენის" კარში ბობიჩმა ვერ გაიტანა. 75-ე წუთზე მასპინძელთა გოლის ავტორი ბერთოლდი გახლდათ. მის პოლონელ თანაგუნდელს რადოსლავ გილევიჩს თამაშის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე შეეძლო ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ დაუცველ კარს ააცილა.

„ბაიერნი" დორტმუნდში დადგა მაგრად. მიუხედავად მასპინძელი კარლ ჰაინც რიდლეს ეფექტური გოლისა, ცხრილის ლიდერებმა იხტიბარი არ გაიტეხეს და იტალიელი რუჯერო რიციტელის გოლით თავისთვის ქულა იხსნეს, მეტოქეს კი ორი წაართვეს.

„ჰანზამ" ნიგერიელი აკპობორის გოლით მიონხენგლადბახის „ბორუსიას" სძლია; „დუისბურგ" — „დიუსელდორფის" შეხვედრაში კი მარკუს მარინის გოლს დიუსელდორფელმა რუდი იშტენიჩმა უპასუხა 64-ე წუთზე და მორიგი გავარდნის საწინააღმდეგო გოლი შეაგდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 28 | 17 | 8 | 3 | 51:27 | 59 |
| ლევერკუზენი | 28 | 17 | 5 | 6 | 55:34 | 56 |
| დორტმუნდი | 28 | 16 | 5 | 7 | 56:34 | 53 |
| შტუტგარტი | 28 | 15 | 7 | 6 | 67:30 | 52 |
| ბოხუმი | 28 | 11 | 10 | 7 | 41:40 | 43 |
| მიუნხენ 1860 | 28 | 10 | 9 | 9 | 45:42 | 39 |
| ვერდერი | 28 | 11 | 6 | 11 | 42:43 | 39 |
| შალკე 04 | 28 | 10 | 9 | 9 | 32:33 | 39 |
| კარლსრუე | 28 | 10 | 8 | 10 | 43:37 | 38 |
| დუისბურგი | 28 | 9 | 9 | 10 | 34:41 | 36 |
| გლადბახი | 28 | 10 | 5 | 13 | 31:36 | 35 |
| ჰამბურგი | 28 | 8 | 10 | 10 | 39:44 | 34 |
| არმინია | 28 | 9 | 7 | 12 | 36:41 | 34 |
| კიოლნი | 28 | 10 | 4 | 14 | 46:55 | 34 |
| ჰანზა | 28 | 8 | 6 | 14 | 30:41 | 30 |
| ფორტუნა | 28 | 8 | 5 | 15 | 23:45 | 29 |
| ზანქტ პაული | 28 | 7 | 6 | 15 | 29:45 | 27 |
| ფრაიბურგი | 28 | 5 | 3 | 20 | 34:62 | 18 |

### მეორე ბუნდესლიგა

**26-ე ტური: ვოლფსბურგი — ცვიკაუ 1:1, მაინცი — მანჰაიმი 2:0, კიკერსი — უნტერჰახინგი 1:0, ურდინგენი — აინტრახტი 3:0, ლაიპციგი — ოლდენბურგი 0:0, გიუტერსლი — კაიზერსლაუტერნი 1:1, კარლ ცაისი — მეპენი 2:1, როტ ვაისი — ფორტუნა (კიოლნი) 0:4, ჰერტა — ლიუბეკი წუხელ გაიმართა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კ. ლაუტერნი | 26 | 13 | 10 | 3 | 48:18 | 49 |
| ჰერტა | 25 | 14 | 5 | 6 | 46:26 | 47 |
| მაინცი | 26 | 10 | 11 | 5 | 38:26 | 41 |
| ვოლფსბურგი | 26 | 9 | 13 | 4 | 33:22 | 40 |
| კიკერსი | 26 | 10 | 9 | 7 | 31:23 | 39 |
| მეპენი | 26 | 9 | 11 | 6 | 33:30 | 38 |
| ურდინგენი | 26 | 11 | 4 | 11 | 40:30 | 37 |
| ფორტუნა | 26 | 9 | 8 | 9 | 45:34 | 35 |
| უნტერჰახინგი | 26 | 7 | 14 | 5 | 23:21 | 35 |
| გიუტერსლო | 26 | 9 | 8 | 9 | 33:38 | 35 |
| ლაიპციგი | 26 | 9 | 7 | 10 | 38:44 | 34 |
| კარლ ცაისი | 26 | 7 | 12 | 7 | 33:34 | 33 |
| აინტრახტი | 26 | 8 | 8 | 10 | 30:34 | 32 |
| მანჰაიმი | 26 | 8 | 6 | 12 | 33:40 | 30 |
| ცვიკაუ | 26 | 7 | 6 | 13 | 21:36 | 27 |
| ლიუბეკი | 25 | 5 | 11 | 9 | 21:35 | 26 |
| ოლდენბურგი | 26 | 5 | 8 | 13 | 28:52 | 23 |
| როტ ვაისი | 26 | 6 | 3 | 17 | 28:59 | 21 |

## ფეხბურთის რუკასთან



საფრანგეთის თასის ფინალისტები უქმეებზე გამოვლინდნენ. „გინგამმა" ძირითად დროში 0:0-ის მერე დამატებითში 2:0 მოუგო „მონპელიეს" და პირველად მიაღწია ფინალს. 110-ე წუთზე ვრემ პირველი შეაგდო, 120-ზე კი კარნუმ გააორმაგა. მეორე ფინალისტი „ნიცა" — „ლავალის" შეხვედრამ გამოავლინა. მასპინძლებმა 1:0 იმარჯვეს.

**აშშ-ის ნაკრებმა 2:2 ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მექსიკასთან და გაისად საფრანგეთში გამგზავრება სათუო გაიხადა. შეხვედრის პირველსავე წუთზე კელერის შეცდომით ერმოსილიომ ისარგებლა, მერე ოუჰმა გააყაიმა, მეორე ნახევარში ლუის ფერნანდესმა კვლავ დააწინაურა სტუმრები, რამირესმა კი საკუთარ კარში ჩაჭრა და ამერიკელებს ქულა აჩუქა.**

იტალიის „პარმას" პრეზიდენტმა კალისტო ტანციმ განაცხადა, რონალდო აღარ გვინდაო. მისი თქმით, რონალდო უძლიერესი მოთამაშე და ბრწყინვალე ფორვარდია, მაგრამ ის ფასი, რაც მას „ბარსელონამ" დაადო, ძალიან ძვირია.

**პოლონეთში „ლეგიასა" და „პოლონიას" შეხვედრისას ატეხილ აყალმაყალში 37 პოლიციელი დაშავდა, ამათგან ოთხი ძალზე სერიოზულად. გულშემატკივართა ავსაქმობა ქუჩაშიც გაგრძელდა, რამაც ორი მაღაზიის ვიტრინები და რამდენიმე მანქანა შეიწირა. პოლიციამ ჯერჯერობით 76 კაცი დააკავა.**

ეკვადორის „დეპორტივოს" ხეიბარმა ფორვარდმა, 29 წლის ტონი ტორესმა თქვა, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება, თუ ჩვენი ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვდება და მეც გუნდში ვიქნებიო. ტორესს ოთხი წლისას მოჰკვეთეს მარჯვენა, მაგრამ ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული ბიჭი ბედს არ დანებდა და აგერ ქვეყნის ჩემპიონატში გოლიც შეაგდო.

**საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიამ ხელმეორე ტესტირების შემდეგ ანაშის მოწევისთვის ორი თვით ჩამოაშორა ფეხბურთს პსჟ-ს და ნაკრების მეკარე ბერნარ ლამა. ტესტმა ამჯერადაც დაადასტურა ეჭვი, რის გამოც ლამა ხუთშაბათს ლივერპულში ვერ ითამაშებს. სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარემ ჟან-ივ ლე უედემ განაცხადა, ლამას ორთვიანი დისკვალიფიკაციით [illegible] დავსჯით, მაგრამ როგორც ეს ჯერ არ მოგვიფიქრებიაო.**

ჰოლანდიაში ერთი წლით ჩასვეს ციხეში როტერდამის „ფეიენოორდის" გულშემატკივარი, ვინაც როტერდამელ და ამსტერდამის „აიაქსის" გულშემატკივართა შორის შარშან, ნოემბერში ატეხილ ჩხუბში სასიკვდილოდ გაიმეტა დედაქალაქელი ფანი. სასჯელის მოხდის შემდეგ მკვლელს ორი წლით აეკრძალება ყველანარ სპორტულ ღონისძიებაზე დასწრება.

**ნიგერიელი ოლიმპიური ჩემპიონის სელესტინ ბაბაიაროს თქმით, მისით სამი უცხოური კლუბია დაინტერესებული და შესაძლოა მომავალ სეზონში ბრიუსელის „ანდერლეხტში" აღარც დარჩეს. ბაბაიარომ განაცხადა, ჩემი შეძენის სურვილი „დეპორტივომ", „ინტერმა" და „ჩელსიმ" გამოთქვეს, მაგრამ ჯერ კონკრეტულად არაფერი გადამიწყვეტიაო. ბელგიური პრესის ცნობით, ლონდონის „ჩელსის" დანარჩენ ორთან შედარებით ერთობ მოუწადინებია ნიგერიელის შესყიდვა.**

ჰოლანდიის უტიტულოვანესმა გუნდმა ამსტერდამის „აიაქსმა" კერკრადეს „როდადან" ფორვარდი ჯერალდ სიბონი შეისყიდა. აიაქსელებს სიბონი „მილანში" მიმავალი კლუივერტის შემცვლელად ეგულებათ. 23 წლის თავდამსხმელმა „აიაქსთან" ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**გერმანიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში უკრაინელებთან შესაძლოა ძირითადი მეკარე ანდრეას კეპკე მოისაკლისოს. მარსელის „ოლიმპიკში" მოთამაშე კეპკე საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში დაშავდა.**

იორდანიელებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში 4:1 დაამარცხეს ბაჰრეინელები, არადა, 88-ე წუთამდე 2:1-ს იგებდნენ.

**იტალიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში 30 აპრილს პოლონელებს მასპინძლობს. მართალია, ჩეზარე მალდინის შემადგენლობა არ დაუსახელებია, მაგრამ განაცხადა, გუნდში აუცილებლად იქნებიან ინგლისში მოთამაშე რავანელი, ძოლა და დი მატეოო.**

გერმანიის ნაკრების კაპიტანმა იურგენ კლინსმანმა განაცხადა, „ბაიერნიდან" ჩემი წასვლის სურვილი რომ შეიტყვეს, ბევრმა კლუბმა გამოთქვა ჩემი შესყიდვის სურვილი, მათ შორის „პარმამაცო". კლინსმანის თქმით, „პარმა" კარგი გუნდია, სერია A-ში მეორეა, მაგრამ მისი იქ გადასვლის თაობაზე სერიოზული საუბარი ჯერ არ შემდგარა.

## ტრაბზონი ლიგაში?!

ამ დღეებში უეფამ გამოაცხადა, რომ ჩემპიონთა ლიგის 24-გუნდიან ვარიანტში, რომელიც გათამაშებას მომავალ სეზონში დაიწყებს, თურქეთის ორი კლუბია დასახელებული. როგორც ცნობილია, უეფას რეიტინგში 1-8 ადგილებზე მყოფ ქვეყნებს ლიგაში ორორი გუნდით თამაში შეუძლიათ. თურქეთმა და საბერძნეთმა ერთნაირი კოეფიციენტები დააგროვეს და ორივეს მერვე ადგილი ერგო. ცხადია, ორივე ორ კლუბს ვერ გაიყვანდა, ამიტომ უეფამ საკითხის გადასაწყვეტად ამ ქვეყნების მიერ ევროტურნირების წლევანდელ გათამაშებაში დაგროვებული კოეფიციენტები მოიშველია. აღმოჩნდა, რომ წლევანდელ ევროტურნირებზე თურქეთის კლუბებმა საბერძნეთის კლუბებზე გაცილებით უკეთ იასპარეზეს და 7,75 ქულა დააგროვეს, რაც ბევრით აღემატება ბერძენთა 3,75-ს. ასე რომ, ჩემპიონთა ლიგის 24-გუნდიან ვარიანტში შესაძლოა „ტრაბზონსპორი" და მასთან ერთად ოთხი ქართველი ვიხილოთ.

ამას გარდა, უეფას წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თუ ლიგის ნახევარფინალისტებიდან რომელიმემ თასი აიღო და ამავდროულად ჩემპიონატში მეორეზე ქვედა ადგილი დაიკავა, მაშინ ის ქვეყანა მომავალ წელს ლიგაში სამი კლუბით იქნება წარდგენილი.

ითქვა ისიც, რომ გაისად მოეწყობა კონტინენტის პირველობა დარბაზის ფეხბურთში.

## რუსეთი

**მე-6 ტური: როსტსელმაში — ალანია 1:0, ლოკომოტივი — დინამო 2:1, ნ. ნოვგოროდი — ფაკელი 1:0, ბალტიკა — როტორი 0:1, კრილია — ჟემჩუჟინა 0:1, კამაზი — სპარტაკი 2:1, ზენიტი — შინიკი 1:1, ტიუმენი — ჩერნომორეცი 0:0, ცსკა — ტორპედო 0:5**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როტორი | 6 | 4 | 2 | 0 | 10:2 | 14 |
| სპარტაკი | 6 | 4 | 1 | 1 | 13:4 | 13 |
| როსტსელმაში | 6 | 4 | 1 | 1 | 7:3 | 13 |
| ჟემჩუჟინა | 6 | 3 | 2 | 1 | 6:4 | 11 |
| ტორპედო | 6 | 3 | 1 | 2 | 12:7 | 10 |
| დინამო | 6 | 3 | 1 | 2 | 6:3 | 10 |
| კრილია | 6 | 3 | 1 | 2 | 5:5 | 10 |
| ლოკომოტივი | 6 | 2 | 3 | 1 | 9:7 | 9 |
| ზენიტი | 6 | 2 | 2 | 2 | 4:3 | 8 |
| ბალტიკა | 6 | 2 | 2 | 2 | 4:4 | 8 |
| ალანია | 6 | 2 | 1 | 3 | 9:6 | 7 |
| ნ. ნოვგოროდი | 6 | 2 | 1 | 3 | 3:4 | 7 |
| ცსკა | 6 | 2 | 1 | 3 | 4:10 | 7 |
| ჩერნომორეცი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:8 | 6 |
| კამაზი | 6 | 2 | 0 | 4 | 5:14 | 6 |
| შინიკი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:11 | 4 |
| ტიუმენი | 6 | 0 | 3 | 3 | 4:8 | 3 |
| ფაკელი | 6 | 1 | 0 | 5 | 1:7 | 3 |

## შვეიცარია

**ფინალური ეტაპის მე-7 ტური: გრასჰოპერი — სენტ გალენი 8:0, ლოზანა — ბაზელი 2:0, ქსამაქსი — არაუ 2:1, სიონი — ციურიხი 3:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სიონი | 7 | 5 | 1 | 1 | 11:6 | 35 |
| ქსამაქსი | 7 | 3 | 3 | 1 | 11:7 | 34 |
| გრასჰოპერი | 7 | 4 | 1 | 2 | 21:8 | 33 |
| ლოზანა | 7 | 5 | 1 | 1 | 11:4 | 33 |
| არაუ | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 | 27 |
| სენტ გალენი | 7 | 1 | 3 | 3 | 5:15 | 21 |
| ციურიხი | 7 | 0 | 2 | 5 | 3:12 | 16 |
| ბაზელი | 7 | 1 | 0 | 6 | 4:14 | 16 |

# ბებერი გარისა რქანიც ხნავენო

## ინგლისი

XXXV ტური

### არსენალი 1:1 ბლექბერნი

**არსენალი:** სიმენი, დიქსონი, უინთენბერნი, ბოულდი, ადამსი, კეინი, ჰიუზი (პარლოუ 89), ვიეირა, პლატი, რაიტი, ბერხკამპი

**ბლექბერნი:** ფლაუერსი, კენა (პედერსენი 81), შერვუდი, ჰენდრი, გალაჰერი, სატონი, უილკოქსი, მაკკინლი, ბერგი, ფლიტკროფტი, პირსი

**გოლი:** პლატი (18), ფლიტკროფტი (89)

ბრწყინვალედ ითამაშა დევიდ პლატმა, რომელიც თანდათან იბრუნებს ჩვეულ ფორმას და ახლაც ზედიზედ მესამე შეხვედრაში შეაგდო. პლატის გოლამდე ბერხკამპს და რაიტს შეეძლოთ გატანა, მაგრამ ვერ იხეირეს. მეორე ტაიმში „ბლექბერნი“ გააქტიურდა, არც მასპინძლებს დაუყრიათ ფარ-ხმალი, მაგრამ ფლაუერსის საუცხოო თამაშმა ისინი მეტად ვეღარ ახეირა. ბოლო წუთებზე დაბნეულ ლონდონელებს ფლიტკროფტმა ქულა გამოსტაცა. შეხვედრის შემდეგ მასპინძელთა ფრანგმა თავკაცმა არსენ ვენგერმა თქვა: „დღეს „იუნაიტედი“ ჩემპიონი გახდა. მანჩესტერელები ღირსეული ჩემპიონები არიან. მათზე უკეთესი გუნდი დღესდღეობით ალბიონზე არ მეგულება. ხუთი ქულით გვისწრებენ, მაშინ, როცა მხოლოდ ოთხი მატჩი დარჩა. ჩვენ ჩემპიონობის არანაირი შანსი არ გვაქვს“.

### ასტონ ვილა 1:1 ტოტენჰემი

**ვილა:** ლუქსი, ნელსონი, რაიტი, ეჰიოგუ, სტონტონი, საუთგეიტი (ჰიუზი 46), ტეილორი, თაუნსენდი, დრეიპერი ([illegible] 66), მილოშევიჩი, იორკი

**ტოტენჰემი:** უოქერი, ოსტინი, ედინბურგი, ჰოუელსი (უეზერკოტი 89), კალდერვუდი, ვეგა, კემპბელი, სინტონი, დოზელი, მაკვეიგი (ფინი 82), შერინგემი

**გოლი:** ვეგა (54), იორკი (81)

ბირმინგემელებმა „ვილა პარკზე“ ბინადრობის საუკუნოვანი იუბილეს აღნიშვნა მოიწადინეს, მაგრამ დუაიტ იორკი რომ არა, ზეიმი ჩაშხამდებოდათ. მანამდე შეიცარიელ ვეგას გაეტანა და „ასტონ ვილას“ გულშემატკივრები თითქმის მატჩის ბოლომდე ელოდნენ იორკის საპასუხო და სეზონში მე-20 გოლს, რომელიც საჯარიმოში შეჭრილმა ტრინიდადელმა უოქერის მოტყუების შემდეგ შეაგდო. „ვილას“ ცუდი თამაში უფრო მილოშევიჩის უნიათობის ბრალი გახლდათ, ამიტომ იყო, გამწყრალმა მაყურებელმა ბოლოს სტვენით რომ გააცილა. ლონდონელთა მწვრთნელმა გარი ფრენსისმა თავდასხმაში გამოცდილ შერინგემს ახალგაზრდა მაკვეიგი შეუწყვილა, რომელიც სადებიუტო შეხვედრის კვალობაზე ერთობ კარგად გამოიყურებოდა და უიღბლობა და ოუქსის რეაქცია რომ არა, გოლსაც შეაგდებდა.

### ჩელსი 2:1 ლესტერი

**ჩელსი:** ფორესტი, პეტრესკუ, ლებეფი, ბარლი, სინკლერი, მორისი (ძოლა 71), გრენვილი, დი მატეო, მინტო (პ. ჰიუზი 46), მ. ჰიუზი (ნიკოლსი 77), ვიალი

**ლესტერი:** პული, გრეისონი, იზეტი (ლოურსენი 85), ლენონი, კლერიჯი (მარშალი 79), კამარკი, პრაიორი, ელიოტი, ჯაპი, ჰესკი, პარკერი

**გოლი:** მინტო (13), სინკლერი (47 საკ. კარში), მ. ჰიუზი (73)

გულიტის ბიჭებმა შეწყვიტეს ოთხმატჩიანი მარცხიანი სერია. „ჩელსიმ“ მატჩის დაწყებისთანავე იძალა, თუმცა, ერთბურთიან სხვაობაზე მეტს ვერ მიაღწია. ლიგის თასის ახალ მფლობელებს გაყაიმებაც შეეძლოთ, მაგრამ ჯერ ბოლო წუთზე შეცვლაზე შესული მარშალის დარტყმა უკუაგდო ხარიხამ, არბიტრის მიერ წამატებულ წუთებზე კი ლონდონელმა მცველებმა ორჯერ ზედ კარის ხაზიდან გამოიტანეს ბურთი.

### ლივერპული 1:3 იუნაიტედი

**ლივერპული:** ჯეიმსი, კვარმე, მაკატირი (კოლიმორი 51), ბიორნებიუ, ჰარკნესი, ტომასი, რაიტი, ბარნსი (ბერგერი 67), რედნეპი, მაკმანამანი, ფაულერი

**იუნაიტედი:** შმაიხელი, გ. ნევილი, ფ. ნევილი, პალისტერი, ბათი, კინი, სქოულზი (მაკკლეირი 81), იონსენი, კოული, კანტონა, ბექემი

**გოლი:** პალისტერი (13, 42), ბარნსი (19), კოული (63)

ამ ბოლო ხუთი წლის მანძილზე ინგლისის უძლიერესმა კლუბმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ბოლო ცხრა სეზონში პირველად მოუგო „ლივერპულს“ სტუმრად და ჩემპიონის ტიტული დაიბევა. ფერგიუსონის გუნდი ხუთი ქულით უსწრებს მდევრებს და თან ერთი მატჩით ნაკლები ითამაშა. მოკლედ, სტუმრებმა ძალიან ივარგეს ამ უპრინციპულეს შეხვედრაში, არადა, მატჩის წინ ლივერპულელთა თავკაცი როი ევანსი იქადნებოდა, ჩემი ბიჭები ახლა უძლიერესები არიან ინგლისში და რა არის ნამდვილი ფეხბურთი, დღეს განახებთო.




ლივერპული — მანჩესტერი. კინი და ფაულერი ბურთისა და ჩემპიონობისათვის ბრძოლაში

პირველივე წუთებიდან ნაღდი ბრიტანული თამაში გაჩაღდა. ყველასთვის მოულოდნელად მატჩის გმირი მანჩესტერელთა მხცოვანი მცველი გარი პალისტერი გამოდგა — იგი ორჯერ ჩავიდა მეტოქეთა საჯარიმოში და ორჯერვე ცენტრიდან დააწყებინა მათ თამაში. ჯერ იყო და, ბექემის ჩაწოდებულზე თაური გაიტანა, მერე კი, ტაიმის მიწურულს, იმავე ბექემის ჩაწოდებულ ბურთს მეორედ მიუჩინა ადგილი კარში და თავისიანები კვლავ დააწინაურა. ეს ორივე გოლი ჯეიმსის აშკარა შეცდომის გამო გავიდა. პალისტერის პირველი გოლი სტაჟიანმა ლივერპულელმა ბარნსმა თავითვე გაქვითა. მოკლედ, პირველი ნახევარი საამო საცქერი გამოდგა. დაიწყო მეორე ტაიმი და ცხადი გახდა, „ლივერპული“ მეტოქეს ვერას დააკლებდა ვერც ამ მატჩში და ვერც ჩემპიონობისთვის ბრძოლაში. კოულმა ბრწყინვალე ფინტით მოატყუა ჯეიმსი და ისე გაიტანა, თან მთელს დუნიას ამცნო, თუ სასწაული არ მოხდა, ჩემპიონები ზედიზედ მესამედ ჩვენ გავხდებითო.

### მიდლსბრო 0:1 სანდერლენდი

**მიდლსბრო:** რობერტსი, კოქსი, უაითი, ვიკერსი, პირსონი, ემერსონი, მასტო, მური (ჰინეტი 26, ჟუნინიო 53), სტამპი, ბექი, რავანელი

**სანდერლენდი:** პერესი, ჰოლი, გრეი, უილიამსი, ორდი, ჰოუი, ბრაისველი, სტიუარტი, ჯონსონი (რეი 73), უოდლი (რასელი 87), ბოლი

**გოლი:** უილიამსი (45)

„მიდლსბრო“ ნაღდად დაითარსა: ძლივს ასცილდა ბოლო საფეხურს, თითქოს გავარდნის საფრთხეც აირიდა, მაგრამ ისევ დამარცხდა, თანაც ვისთან, ყოვლად უტიტულო „სანდერლენდთან“ და ისევ ლიგაში დარჩენა-არდარჩენაზე მიუდგა საქმე. ისაც გავიხსენოთ, რომ „მიდლსბრომ“ ლიგის თასის ფინალიც წააგო და ქვეყნის თასის ფინალში გასვლაც სათუო გაიხადა. ამ შეხვედრის პირველი ნახევრის გასრულებას წამებიღა აკლდა, როცა უოდლმა ჯარიმა დაარტყა, მიდლსბროელებს კი უილიამსმა დაასწრო და ანგარიშიც გაიხსნა. თამაში აღარც განახლებულა, ფეხბურთელები გასახდელისკენ გაეშურნენ. მეორე ტაიმში „მიდლსბროს“ უპირატესობას საგრძნობი კი ეთქმოდა, მაგრამ გოლამდე საქმე ვერა და ვერ მივიდა. ერთხელ პერესმა რავანელის ისეთი ბურთი აუღო, ფაბრიციოც აღფრთოვანდა და ტაში შემოჰკრა.

### ნიუკასლი 3:1 დერბი

**ნიუკასლი:** ჰისლოპი, უოტსონი, ელიოტი, პიკოკი, ბერესფორდი, ბარტონი, ბეტი, ლი, ასპრილია (გილესპი 85), ფერდინანდი, შირერი

**დერბი:** ჰოლტი, ლაურსენი, როუეტი, მაკგრათი, ს. პაუელი (დ. პაუელი 45), ვან დერ ლაანი (სოლისი 75), ტრილოპი, ასანოვიჩი, დეილი, სტარიჯი, უორლი (ვენჩოპი 46)

**გოლი:** სტარიჯი (1), ელიოტი (12), ფერდინანდი (52), შირერი (75)

მასპინძელთა მწვრთნელმა დალგლიშმა ამჯერადაც, უკვე მეორედ ასპრილია — ფერდინანდ — შირერის სამეული გაამწესა წინ და კვლავაც იხეირა. მართალია, „ნიუკასლს“ ჯერ მდევრობამ მოუწია, მაგრამ ბოლოს კლასმა თავისი გაიტანა. 33-ე წამზე სტარიჯმა „დერბი“ დააწინაურა. მასპინძელმა ქომაგებმა 11 წუთი მოიწყინეს, მერე კი ერთობ გაილაღეს. ჯერ გოლის გაქვითვა იხილეს, მერე კი, მეორე ნახევრიდან, შირერისა და კომპანიის მიერ „დერბის“ ნგრევა. ფერდინანდმა თაურით სეზონში მეცხრამეტედ გაიტანა, შირერმა კი 27-28 მეტრიდან 84-ე გოლი შეაგდო.

### ნოტინგემი 1:1 ლიდსი

**ნოტინგემი:** ფეტისი, ლითლი, კუპერი (უორნერი 24), ჩეტლი, ბარტ-უილიამსი (უოდენი 69), ფილიპსი, ჯემილი, ვან ჰუიდონკი, ალენი, როი (მური 75), ონილი

**ლიდსი:** მარტინი, კელი, დორიგო, რადებე, უეზეროლი, შარპი (პალმერი 46), დინი (უოლესი 80), ბოუერი, ლილი, ჰოლი, ლორენი

**გოლი:** ვან ჰუიდონკი (6), დინი (66)

საწყალი „ნოტინგემი“, მთელი სეზონის ბოლო ხუთეულს რომ ვერ გასცილებია, ამჯერადაც უნიათოდ გაირჯა. ჰოლანდიელი ვან ჰუიდონკის ინგლისში გატანილი პირველი გოლის წყალობით მასპინძლები ზუსტად ერთ საათს კი ლიდერობდნენ, მაგრამ მეტად სულელური გოლი გაუშვეს. ბარტ-უილიამსმა პალმერის შეჩერება მოიწადინა, მაგრამ ბურთი აეჭრა და კარის ხაზთან დადარაჯებულ დინს მოუგორდა, ამანაც მოულოდნელი საჩუქარი შეირგო და გააყაიმა, რითაც, შესაძლოა, „ნოტინგემს“ პრემიერლიგა დაატოვებინა.

### შეფილდი 3:1 უიმბლდონი

**შეფილდი:** პრესმენი, ატერტონი, ნოლანი, პემბრიჯი, უოშქერი, უიტინგემი, კარბონი, ნიკოლი, დონალდსონი, სტეფანოვიჩი, ბლინკერი (ტრასტფული 63)

**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი, კიმბლი, ლეონარდსენი (იუელი 76), ჰოლდსუორსი, გეილი (გუდმენი 76), პერი (რივსი 70), მაკალისტერი, ერდლი, კასტელდაინი, ფუარი

**გოლი:** დონალდსონი (42), ტრასტფული (78, 83), გუდმენი (85)

შეფილდელები მიუახლოვდნენ იმ ადგილს, რომელიც ევროტურნირებზე გასვლის უფლებას იძლევა. მასპინძლებმა პირწმინდად დაჩაგრეს მეტოქე და თუ მარტო ორი ბურთით მოიგეს, ეს მხოლოდ და მხოლოდ სალივანის დამსახურებაა. მან, სულ ცოტა, ოთხჯერ გადაარჩინა თავისიანები გოლს და იმის მიუხედავად, რომ სამი ბურთი გაუშვა, მაინც საუკეთესო იყო უიმბლდონელთაგან. მასპინძლების შეტევები კარგა ხანს წყლის ნაყვა იყო, მაგრამ ორი წლის წინ „შეფილდში“ გადასულმა, თუმცა პრემიერლიგაში მხოლოდ მეორეჯერ მოთამაშე ონილ დონალდსონმა დააზლოებით ათი მეტრიდან ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმის დასაწყისი საშინელი სანახავი იყო. შეფილდელთა მწვრთნელმა დევიდ პლატმა მეტოქე კოლეგაზე ადრე იგრძნო ეს და არაფრისმაქნისი ბლინკერი ტრასტფულით შეცვალა. ამანაც გაუმართლა და ერთბაშად ორი გოლი შეაგდო.

### საუთჰემპტონი 2:2 ქოვენთრი

**საუთჰემპტონი:** ტეილორი, დოდი, ლუნდეკვამი, ვან გობელი, ბენალი, სლეიტერი, მეჯილტონი, ევანსი, ოსტენსტადი, ბერკოვიჩი (ნილსონი 75), ოუქლი

**ქოვენთრი:** ოგრიზოვიჩი, ტელფერი, ბოროუზი, უილიამსი, შოუ, ჰაკერბი (რიჩარდსონი 59), მაკალისტერი, ველანი, დაბლინი, ნდლოვუ, ბაროუზი (სტრაჩანი 59)

**გოლი:** ევანსი (27), ოსტენსტადი (47), ნდლოვუ (62), ველანი (74)

ლე ტისიეს არყოფნაში მასპინძელთა ლიდერობა მეჯილტონმა იკისრა და არცთუ ურიგოდ. სწორედ მისი ძალისხმევით შეძლო „საუთჰემპტონმა“ ორბურთიანი უპირატესობის მიღწევა, თუმცა მცველთა გამოისობით მონაგარი ქარს გაატანა. ორი ბურთით დაწინაურებამ მასპინძლები, ეტყობა, მოადუნა, სტუმართა რიგებში კი მათი მოთამაშე-მწვრთნელი გორდონ სტრაჩანი გამოჩნდა და აკი სწორედ მან დაიდო ლომის წილი ანგარიშის გათანაბრებაში. სტრაჩანმა ჯერ ნდლოვუს გაატანინა, მერე ველანს.

### ვესტ ჰემი 2:2 ევერტონი

**ვესტ ჰემი:** მიკლოშკო, პოტსი, ჰოლი, ბილიჩი, ლომასი, ჰიუზი, პორფირიუ (რიპერი 82), ფერდინანდი, მონკური (ბიშოპი 87), ჰარტსონი, კიტსონი

**ევერტონი:** საუთჰოლი, ბარეტი, ანსუორსი, უოტსონი, სტიუარტი, ფერგიუსონი, სპიდი, ტომსენი, ბრენჩი, ბოლი (ბარმბი 46), დანი

**გოლი:** კიტსონი (10, 32), ბრენჩი (78), ფერგიუსონი (90)

მატჩის შემდეგ მასპინძელთა გამწარებული მწვრთნელი გარი რედნეპი ამბობდა, ჩემპიონატში ასეთ გადამწყვეტ დროს რომ ორ ქულას დაკარგავ და ელიტაში დარჩენას საეჭვოდ გაიხდი, რაღა გინდა პრემიერლიგაშიო. რედნეპს მართლაც ჰქონდა ამის თქმის საფუძველი — გარდა იმისა, რომ „ვესტ ჰემმა“ ბოლო წამს გაუშვა გოლი, 2:0-ზე პენალტიც გააფუჭა. პირველ ტაიმში დუბლის ავტორმა კიტსონმა ჰეთ-თრიქის შესრულებაც მოინდომა და პენალტის დარტყმა იკისრა, მაგრამ გამოცდილი საუთჰოლი ვერ გააცურა. ალებულმა თერთმეტმეტრიანმა ევერტონელებს ფრთები შეასხა და ბოლო 12 წუთში თითქმის შეუძლებელი შეაძლებინა: ჯერ იყო და, მასპინძელ მცველთა უყურადღებობით ისარგებლა ბრენჩმა, მათ ბურთი მოჰპარა და მიკლოშკოს უშეცდომოდ დაურტყა, მსაჯის მიერ წამატებულ წამებზე კი ფერგიუსონმა „ვესტ ჰემს“ ლახვარი ჩასცა. ლონდონელებმა პრემიერლიგაში ზედიზედ მეექვსედ დარჩენა სათუო გახადეს.

**ლაშა გოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 34 | 20 | 9 | 5 | 69:39 | 69 |
| არსენალი | 35 | 18 | 10 | 7 | 5829 | 64 |
| ლივერპული | 35 | 18 | 10 | 7 | 57:34 | 64 |
| ნიუკასლი | 34 | 17 | 9 | 8 | 67:40 | 60 |
| ასტონ ვილა | 35 | 16 | 9 | 10 | 44:31 | 57 |
| შეფილდი | 34 | 14 | 14 | 6 | 47:40 | 56 |
| ჩელსი | 35 | 14 | 10 | 11 | 55:54 | 52 |
| უიმბლდონი | 34 | 13 | 10 | 11 | 45:43 | 49 |
| ტოტენჰემი | 35 | 12 | 7 | 16 | 41:47 | 43 |
| ლიდსი | 35 | 11 | 10 | 14 | 27:37 | 43 |
| ევერტონი | 36 | 10 | 12 | 14 | 43:52 | 42 |
| დერბი ქაუნთი | 35 | 10 | 12 | 13 | 42:54 | 42 |
| ლესტერი | 34 | 10 | 10 | 14 | 39:49 | 40 |
| ბლექბერნი | 34 | 8 | 14 | 12 | 36:36 | 37 |
| ქოვენთრი | 35 | 8 | 13 | 14 | 34:50 | 37 |
| სანდერლენდი | 35 | 9 | 10 | 16 | 32:51 | 37 |
| საუთჰემპტონი | 35 | 8 | 11 | 16 | 47:55 | 35 |
| ვესტ ჰემი | 34 | 8 | 11 | 15 | 33:45 | 35 |
| მიდლსბრო | 33 | 9 | 9 | 15 | 44:53 | 33 |
| ნოტინგემი | 35 | 6 | 14 | 15 | 30:53 | 32 |

## შოტლანდია

34-ე ტური: სელტიკი — აბერდინი 3:0, ჰართსი — დანფერმლაინი 1:1, კილმარნოკი — ჰიბერნიანი 1:1, მოზერველი — დანდი იუნაიტედი 1:1, რეით როვერსი — რეინჯერსი 0:6

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 33 | 24 | 5 | 4 | 83:28 | 77 |
| სელტიკი | 33 | 21 | 5 | 7 | 72:31 | 68 |
| დანდი იუნ. | 33 | 16 | 9 | 8 | 45:29 | 57 |
| ჰართსი | 34 | 13 | 10 | 11 | 43:41 | 48 |
| დანფერმლაინი | 34 | 11 | 8 | 15 | 47:68 | 41 |
| აბერდინი | 34 | 9 | 13 | 12 | 42:53 | 40 |
| ჰიბერნიანი | 34 | 9 | 10 | 15 | 36:51 | 37 |
| კილმარნოკი | 33 | 11 | 4 | 18 | 39:57 | 37 |
| მოზერველი | 34 | 8 | 10 | 16 | 40:53 | 34 |
| რეით როვერსი | 34 | 6 | 6 | 22 | 2870 | 24 |

## პირველი დივიზიონი

### სიტი 0:3 ქუინზ პარკი

**სიტი:** მარგეტსონი, ბრაიტველი, [illegible] კი, მაკგოლდრიკი, საიმონსი, ბრენენი, სამერბი, ატკინსონი, კერნაგენი, ქინქლაძე, [illegible] (ბიში 89)

**გოლი:** სპენსერი (49, 53), სლეიდი (76)

სიტელები განადგურდნენ. „ქუინზ პარკმა“ უკანასკნელი შვიდი შეხვედრიდან ხუთი მოიგო და პრემიერლიგაში გადასვლის შანსი შეინარჩუნა. გიოს აჩრდილივით სდევდა დენი მედიქსი, ვინაც ჩვენებურს განძრევის საშუალება არ მისცა. ამან „სიტი“ მოშალა და მის დიდი ანგარიშით მარცხს დაუდო სათავე: სპენსერმა კერნაგენის შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გახსნა, მალე მანვე გააორა, ბოლოს კი სლეიდმაც დაჯაბნა დაცვა და მესამედ შეარხია კარის ბადე.

**სხვა მატჩები:** სტოკ სიტი — პორტ ვეილი 2:0, ბრედფორდი — ბირმინგემი 0:2, ჩარლტონი — პორთსმუტი 2:1, კრისტალ პალასი — ბარნსლი 1:1, გრიმსბი — რედინგი 2:0, ჰადერსფილდი — ვესტ ბრომვიჩი 0:0, ოლდემი — ბოლტონი 0:0, ოქსფორდი — სვინდონი 2:0, ტრანმერი — შეფილდ იუნაიტედი 1:1, ვულვზი — საუთენდი 4:1, იფსვიჩი — ნორვიჩი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 44 | 27 | 13 | 4 | 94:50 | 94 |
| ბარნსლი | 43 | 21 | 14 | 8 | 71:46 | 77 |
| ვულვზი | 43 | 21 | 9 | 13 | 65:48 | 72 |
| შეფილდი | 44 | 19 | 12 | 13 | 74:52 | 69 |
| იფსვიჩი | 43 | 18 | 13 | 12 | 65:49 | 67 |
| პორტ ვეილი | 44 | 17 | 15 | 12 | 56:52 | 66 |
| კ. პალასი | 43 | 17 | 13 | 13 | 72:45 | 64 |
| ტრანმერი | 44 | 17 | 13 | 14 | 59:54 | 64 |
| ქუინზ პარკი | 44 | 17 | 12 | 15 | 6257 | 63 |
| ნორვიჩი | 44 | 17 | 11 | 16 | 63:65 | 62 |
| პორთსმუტი | 43 | 18 | 8 | 17 | 54:51 | 62 |
| ბირმინგემი | 44 | 16 | 14 | 14 | 49:47 | 62 |
| სტოკ სიტი | 44 | 17 | 10 | 17 | 49:55 | 61 |
| ჩარლტონი | 43 | 16 | 10 | 17 | 51:61 | 58 |
| სიტი | 43 | 16 | 9 | 18 | 56:57 | 57 |
| ვესტ ბრომვიჩი | 44 | 13 | 15 | 16 | 65:70 | 54 |
| ოქსფორდი | 44 | 15 | 9 | 20 | 59:65 | 54 |
| რედინგი | 43 | 14 | 12 | 17 | 52:61 | 54 |
| სვინდონი | 44 | 15 | 8 | 21 | 5269 | 53 |
| ჰადერსფილდი | 44 | 12 | 14 | 18 | 46:60 | 50 |
| გრიმსბი | 43 | 10 | 12 | 21 | 55:78 | 42 |
| ბრედფორდი | 43 | 10 | 12 | 21 | 43:70 | 42 |
| ოლდემი | 44 | 9 | 13 | 22 | 48:64 | 40 |
| საუთენდი | 44 | 8 | 15 | 21 | 41:80 | 39 |

## ავსტრია

28-ე ტური: ზალცბურგი — კაზინო 3:1?, ავსტრია — ლინცერი 1:1, ტიროლი — რიედი 1:0, ლინცი — რაპიდი 1:1, ადმირა ვაკერი — შტურმი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 28 | 15 | 9 | 4 | 54:27 | 54 |
| ზალცბურგი | 28 | 15 | 9 | 4 | 36:14 | 54 |
| ტიროლი | 28 | 12 | 7 | 9 | 38:30 | 43 |
| შტურმი | 28 | 10 | 11 | 7 | 38:23 | 41 |
| ლინცერი | 28 | 8 | 14 | 6 | 30:27 | 38 |
| კაზინო | 28 | 8 | 11 | 9 | 29:35 | 35 |
| ავსტრია | 28 | 9 | 7 | 12 | 31:43 | 34 |
| რიედი | 28 | 9 | 4 | 15 | 34547 | 31 |
| ლინცი | 28 | 5 | 9 | 14 | 20:36 | 24 |
| ადმირა ვაკერი | 28 | 5 | 7 | 16 | 25:53 | 22 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია “CROCO”

**ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXXVI ტური**

23 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბლექბერნი — შეფილდი | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| ლიდსი — ასტონ ვილა | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| სანდერლენდი — საუთჰემპტონი | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| უიმბლდონი — ჩელსი | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| ქოვენთრი — არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| დერბი ქაუნთი — ნოტინგემი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| ლესტერი — ვესტ ჰემი | 1,7 | 3,0 | 3,8 |

**შვეიცარიის ჩემპიონატი.** ფინალური ეტაპის VIII ტური

24 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაზელი — ლოზანა | 2,7 | 2,7 | 2,2 |
| ციურიხი — სიონი | 4,0 | 3,2 | 1,6 |
| არაუ — ქსამაქსი | 2,6 | 2,6 | 2,3 |
| სენტ გალენი — გრასჰოპერი | 3,6 | 3,1 | 1,7 |

**რუსეთის ჩემპიონატი.** VII ტური

23 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| სპარტაკი — ცსკა | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ალანია — ლოკომოტივი | 1,4 | 3,3 | 5,6 |
| როტორი — როსტსელმაში | 1,5 | 3,0 | 5,6 |
| დინამო — ნოვგოროდი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ტორპედო — ზენიტი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ჩერნომორეცი — კამაზი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ჟემჩუჟინა — ბალტიკა | 2,0 | 2,7 | 3,1 |
| შინიკი — კრილია | 2,4 | 2,8 | 2,3 |
| ფაკელი — გაზოვიკი | 1,8 | 2,9 | 3,4 |

**ინგლისი.** თასის ნახევარფინალი. შეფილდში

22 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| მიდლსბრო — ჩესტერფილდი | 1,35 | 3,4 | 6,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

## ევროლიგის „ოთხთა ფინალი“. რომი. PALAEUR

22 აპრილი
21.30 ოლიმპია (სლოვენია) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი)
23.30 ბარსელონა (ესპანეთი) — ვილერბანი (საფრანგეთი)

24 აპრილი
21.30 მატჩი მესამე ადგილისთვის
23.30 ფინალი

## ოლიმპია (ლიუბლიანა, სლოვენია)

სლოვენიის ჩემპიონი: 5 (1992, 1993, 1994, 1995, 1996)
სლოვენიის თასი: 4 (1992, 1993, 1994, 1995)
იუგოსლავიის ჩემპიონი: 6 (1957, 1959, 1961, 1962, 1966, 1970)
ევროპის თასი: 1 (1995)

**ღირსება:** ეს არის ახალგაზრდული გუნდი, რომელშიაც არაერთი ნიჭიერი ყმაწვილკაცი თამაშობს. მათ არ იციან, რა არის დაღლა, შეუძლიათ გამუდმებით ცვალონ დაცვის სისტემები. „ოლიმპიას“ ჰყავს მოთამაშეები (მილიჩი, ჰაუპტმანი, დანეუ), რომელთაც ძალუძთ შედეგიანად დაასრულონ შეტევები მაშინაც კი, როცა ბურთის ფლობისათვის ორი-სამი წამია დარჩენილი. მოთამაშეთა უმრავლესობა თავდადებით თამაშობს, რადგან კარიერის გაგრძელებას ოკეანის გაღმა ეშურება.

**ნაკლი:** ახალგაზრდობა, ამავდროულად, გამოუცდელობასაც ნიშნავს და ამან შეიძლება პრობლემებიც შექმნას. სწრაფ თამაშში ხშირად ცდებიან და ამის გამო გუნდის სრული პოტენციალის წარმოჩენა ვერ ხერხდება. „ოლიმპიას“ ჰყავს უნიჭიერესი ფორვარდები მარკო მილიჩი და ვლადიმერ სტეფანია — 212 სანტიმეტრიანი ქართველი, რომელიც უკანახაზელივით სწრაფია. ნაღდი უკანახაზელი კი... „ოთხთა ფინალში“ სლოვენიელებს, შესაძლოა, ამანაც პრობლემა გაუჩინოს.

**საერთოდ:** ნუ ჩამოვწერთ „ოლიმპიას“, თუნდაც მარკო მილიჩის გამო. ამ ბიჭს მრავალფეროვანი მოქმედება შეუძლია. სავარაუდოდ, ორი ამერიკელიც (ჰენრი და მაკდონალდი) შეეცდება, ჩვეულებრივზე უკეთ ითამაშოს.

## ოლიმპიაკოსი (პირეოსი, საბერძნეთი)

საბერძნეთის ჩემპიონი: 8 (1949, 1960, 1976, 1978, 1994, 1945, 1996, 1997)
საბერძნეთის თასი: 5 (1976, 1977, 1978, 1980, 1994)

**ღირსება:** ტარლაცი — ფასულასი — ველპი: ევროპის არცერთ გუნდს არ ჰყავს ასეთი მძლავრი, მაღალი და გამოცდილი წინა ხაზი. ამას დაუმატოთ უკანახაზელები რივერსი, სიგალასი, ნაკიჩი და მივიღებთ გუნდს, რომელსაც შეუძლია ნებისმიერ მიზნებს გაეთამაშოს. ევროპაში „ოლიმპიაკოსს“ ვერავინ შეედრება ვერც ფიზიკურ მომზადებაში, ვერც ფარზე თამაშში. ეს ნიშნავს იმას, რომ სიგალასს, პაპანიკოლაუს და რივერსს შეუძლიათ თავისი ნიჭი ფარიდან შორს, მოედანზე გამოავლინონ.

**ნაკლი:** როცა გყავს საუკეთესო დრიბლიორი (რივერსი), უძლიერესი ფარი (ტარლაცი, ფასულასი, ველპი) და სწრაფი ახალგაზრდები (სიგალასი, ნაკიჩი, პაპანიკოლაუ), რატომ არ უნდა ითამაშო შემტევი კალათბურთი? ალბათ იმიტომ, რომ მიღწეულით კმაყოფილდები და მის შენარჩუნებას ლამობ. ჯგუფურ ტურნირში ბერძნებმა რამდენიმე მატჩი (ალბასთან, ტიმსისტემთან) ასე წააგეს: დებიუტში მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება განიზრახეს, მერე კი საქმეები ველარააწყვეს. ფასულასი დიდებული დამფარებელია, მაგრამ სამწამიან ზონაში „თავის კაცს“ დიდ თავისუფლებას აძლევს. კარგი მოთამაშე კი ამგვარ საჩუქარს კარგადვე იყენებს.

**საერთოდ:** იუგოსლავიელი მწვრთნელი დუშან ივკოვიჩი, რომლის ღირსებაზეც თუნდაც მისი სახელი მეტყველებს, გრძელი სკამი, ორი ამერიკელი... მაგრამ მოედანზე ყველაფერს წვრილმანები წყვეტს. თუკი გავიხსენებთ ამ გუნდს ჯგუფურ ტურნირში და მატჩს „პარტიზანთან“, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საკალათბურთო ღმერთებმა „ოლიმპიაკოსი“ თავიანთ სამეურვეო გუნდად ამოირჩიეს.

## ბარსელონა (ესპანეთი)

ესპანეთის ჩემპიონი: 9 (1959, 1981, 1983, 1987, 1988, 1989 1990, 1995, 1996)
ესპანეთის თასი: 17 (1943, 1945, 1946, 1947, 1949, 1950 1959, 1978, 1979, 1980, 1981, 1982, 1983, 1987, 1988, 1991, 1994
ევროპის თასი: 2 (1985, 1986)
კორაჩის თასი: 1 (1987)
მსოფლიოს საკლუბო თასი: 1 (1988)

**ღირსება:** ამ გუნდს შეუძლია დაამარცხოს ნებისმიერი მეტოქე მრავალი ხერხით და მრავალი იარაღით. ბერლინის „ალბასთან“ პირველ მატჩში ესპანელთა შეტევა შეუდარებელი იყო: გუნდმა სროლების 90 (!) პროცენტი ჩააგდო. მეორე მატჩი კი დაცვითი ტაქტიკით ითამაშა და გერმანელებს პირველ ტაიმში 12 (!!!) ქულა ჩააგდებინა. ალექსანდრ ჯორჯევიჩი ყველაფერს ახერხებს: ბურთის ტარებასაც, ნებისმიერი მანძილიდან სროლასაც და საერთოდ, ამ კაცს შეუძლია თამაში ხელოვნებას მიუახლოვოს. მის ბრწყინვალე პასებს დიდად ემადლიერებიან ხავიერ ფერნანდესი და არტურას კარნიშოვასი, რომლებიც თითქოს ჩამოყალიბებული ვარსკვლავები არიან, მაგრამ მატჩიდან მატჩამდე მაინც უმატებენ. როცა ხოფრესას, ესტელერის და ანდრეუს მსგავსი ოსტატები სკამზე გიზიან, შეცვლებში პრობლემა არ უნდა გქონდეს.

**ნაკლი:** ბარსელონელებს რომ ჰკითხოთ, აიტო გარსია რენესესი დედამიწაზე ყველაზე ცუდი მწვრთნელია. მართალია თუ არა, კაცმა არ იცის, მაგრამ გუნდზე ეს ცუდად მოქმედებს. გულშემატკივრები ყოველთვის უსტვენენ რენესესს იმის მიუხედავად, კარგ გადაწყვეტილებას იღებს თუ ცუდს. კარნიშოვასი დიდებული მოთამაშეა, მაგრამ ლიდერი არ არის. ამ როლს ჯორჯევიჩი ითვისებს, თუმცა საამსაქმოდ ჯერ ახალბედაა — „პორტლენდიდან“ 2 თებერვალს გადმოვიდა „ბარსელონაში“.

**საერთოდ:** „ბარსელონას“ ჰყავს ალექსანდრ ჯორჯევიჩი.

## ვილერბანი (საფრანგეთი)

საფრანგეთის ჩემპიონი 16 (1949, 1950, 1952, 1955, 1956, 1957, 1964, 1965, 1966, 1968, 1969, 1971, 1972, 1975, 1977, 1981)
საფრანგეთის თასი: 5 (1953, 1957, 1967, 1968, 1984)

**ღირსება:** ევროპის ყველაზე დიდი საიდუმლო ამერიკელი დელანი რადი „ვილერბანშია“. „იუტა ჯაზის“ ყოფილ მოთამაშეს შეუძლია, მატჩში საშუალოდ 30 ქულა, 10 პასი და 5 ჩაჭრა გააკეთოს. კარგად ინახავს ბურთს და განსაკუთრებით ეფექტურად მაშინ ესვრის, როცა ბურთის ფლობისთვის დრო აღარ რჩება. მეორე ამერიკელი, ბრაიან ჰოვარდი მეტად სასარგებლო ფორვარდია, რომელიც რადის მოქმედებას სრულყოფილებამდე ავსებს. არც ჯიმ ბილბაა დასავიწყებელი: იშვიათია ასეთი მეომარი, რომელიც უბრძოლველად სანტიმეტრსაც არავის უთმობს.

**ნაკლი:** რა თქმა უნდა, ამ ორ ამერიკელს, ბილბას და კიდევ ყორუ ადამსს გამოუცდელს ვერ უწოდებ. მთლიანად გუნდი კი, სწორედ რომ ამგვარია. ევროთასებზე „ვილერბანი“ ასე შორს არასდროს წასულა. შემტევი პოტენციალი შეზღუდულია. თუკი მეურვემ ამოკეტა რადი და მას დრიბლინგის საშუალება მოუსპო, მაშინ „ვილერბანი“ ნახევარი ძალით უტევს.

**საერთოდ:** გუნდი „ოთხთა ფინალშია“, აქ კი შემთხვევით არ ხვდებიან. „ვილერბანი“ ბოლომდე იბრძოლებს, ამ თვისებას გუნდს ვერ დაუკარგავ. სხვათა შორის, ეს ფრანგთა გუნდის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანია.

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

18 აპრილი
ლეიკერზი — კლიპერზი 123:95, ჰიუსტონი — დალასი 112:102, ვაშინგტონი — ორლანდო 104:93, ფინიქსი — სან ანტონიო 106:95, ნიუ იორკი — ინდიანა 97:89, მინესოტა — მილუოკი 122:112, ნიუ ჯერსი — მაიამი 86:74, ბოსტონი — ფილადელფია 119:113, ტორონტო — შარლოტი 108:100, კლივლენდი — დეტროიტი 82:75

19 აპრილი
ატლანტა — ფილადელფია 136:104, მაიამი — ორლანდო 102:88, ნიუ იორკი — ჩიკაგო 103:101, დენვერი — დალასი 100:95, იუტა — მინესოტა 101:89, ვანკუვერი — ფინიქსი 121:107, სიეტლი — კლიპერზი 125:100, საკრამენტო — გოლდენ სტეიტი 122:120

20 აპრილი
ტორონტო — ბოსტონი 125:94, ვაშინგტონი — კლივლენდი 85:81, დეტროიტი — ინდიანა 124:120, პორტლენდი — ლეიკერზი 100:96, ჰიუსტონი — სან ანტონიო 103:93, ნიუ ჯერსი — ატლანტა 108:92, მილუოკი — შარლოტი 120:100, იუტა — საკრამენტო 113:109

### საბოლოო ცხრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთის კონფერენცია** | | | |
| *ჩიკაგო* | 69 | 13 | 84,1 |
| *მაიამი* | 61 | 21 | 74,1 |
| *ნიუ იორკი* | 57 | 25 | 69,5 |
| *ატლანტა* | 56 | 26 | 68,3 |
| *დეტროიტი* | 54 | 24 | 65,9 |
| *შარლოტი* | 54 | 28 | 65,9 |
| *ორლანდო* | 45 | 37 | 54,9 |
| *ვაშინგტონი* | 44 | 38 | 53,7 |
| კლივლენდი | 42 | 40 | 51,2 |
| ინდიანა | 39 | 43 | 47,6 |
| მილუოკი | 33 | 49 | 40,2 |
| ტორონტო | 30 | 52 | 36,6 |
| ნიუ ჯერსი | 26 | 56 | 31,7 |
| ფილადელფია | 22 | 60 | 26,8 |
| ბოსტონი | 15 | 67 | 18,3 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| *იუტა* | 64 | 18 | 78,0 |
| *სიეტლი* | 57 | 25 | 69,5 |
| *ჰიუსტონი* | 57 | 25 | 69,5 |
| *ლეიკერზი* | 56 | 26 | 68,3 |
| *პორტლენდი* | 49 | 33 | 59,8 |
| *მინესოტა* | 40 | 42 | 48,8 |
| *ფინიქსი* | 40 | 42 | 48,8 |
| *კლიპერზი* | 36 | 46 | 43,9 |
| საკრამენტო | 34 | 48 | 41,5 |
| გოლდენ სტეიტი | 30 | 52 | 36,6 |
| დალასი | 24 | 58 | 29,3 |
| დენვერი | 21 | 61 | 25,6 |
| სან ანტონიო | 20 | 62 | 24,4 |
| ვანკუვერი | 14 | 68 | 17,1 |

### ფლეი-ოფი. 24 აპრილიდან

I წრე (სამ მოგებამდე)

აღმოსავლეთი
ჩიკაგო — ვაშინგტონი
მაიამი — ორლანდო
ნიუ იორკი — შარლოტი
ატლანტა — დეტროიტი

დასავლეთი
იუტა — კლიპერზი
სიეტლი — ფინიქსი
ჰიუსტონი — მინესოტა
ლეიკერზი — პორტლენდი

### საქართველოს ჩემპიონატი

## ფლეი-ოფის დრო დადგა

ვერის ბაღი. 18 აპრილი
ხუთეულის გამოტოვებული შეხვედრა

**სდასუ — ქიმიკოსი 97:85**

**სდასუ:** აბრამიძე (10), დავითულიანი (25), ბერეკაშვილი (7), მუშკუდიანი (14), დერიუგინი (16); ჩუბინიძე (10), აბულაძე (11), ეგუტია (6), გაგნიძე (4), ლოლაძე
**ქიმიკოსი:** გაბისონია (23), კოქლამაზიშვილი (23), კოქლამაზიშვილი (5), გოგოლაძე (28), კვჭაყმაძე (4), ჩაჩუა (11); კიკვიძე (8), ტარალუა (3), ხაიაური, ჯიმშელაშვილი (3)

### საბოლოო ცხრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვითა | 22 | 2103-1685 | 22 |
| დინამო | 22 | 2129-1773 | 16 |
| სდასუ | 22 | 1944-1797 | 16 |
| ქიმიკოსი | 22 | 1845-1878 | 8 |
| შევარდენი | 22 | 1762-1844 | 8 |

ფლეი-ოფში გასული ოთხეულის თამაშთა განრიგი ასეთია:

23 აპრილი
13.00 დინამო — სდასუ
14.30 ვითა — ქიმიკოსი

24 აპრილი
13.00 ვითა — ქიმიკოსი
14.30 დინამო — სდასუ

თუ გამარჯვებული ორმა შეხვედრამ ვერ გამოავლინა, გუნდები 25-შიც ითამაშებენ.



## NHL. სტენლის თასი

### დეტროიტი 2-1 სენტ ლუისი

**დეტროიტი — სენტ ლუისი 2:1. შაიბები: დრეიპერი, ლ. მერფი; ბერჟევინი**
**სენტ ლუისი — დეტროიტი 2:3. შაიბები: ჰალი, ჯ. მერფი, დრეიპერი; შენაჰანი, აიზერმანი**

ამ გუნდების მეორე შეხვედრა პირველის მსგავსად დაიწყო — მასპინძლები კვლავ ამაოდ უტევდნენ დაწინაურებულ სტუმართა კარს. ასე გაგრძელდა მესამე პერიოდამდე, სანამ დეტროიტელი მერფი საჯარიმოთა სკამზე არ აღმოჩნდა. „ბლუზმენებმა“ ყურადღება მოადუნეს, რითაც უმალ ისარგებლა „ფრთების“ მეომარმა დრეიპერმა. გოლით ფრთაშესხმულმა მერფიმ საჯარიმო დროის დამთავრებისთანავე თავადაც იხეირა, რასაც სენტ ლუისმა ველარ უპასუხა.

მესამე მატჩში, რომელიც სენტ ლუისში გაიმართა, „ფრთების“ უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა იყო, მაგრამ კვლავ ბრწყინავდა სენტ ლუისის შავკანიანი გოლკიპერი. სწორედ ფიურის დამსახურე-



სენტლუისელი მერფის გოლი დეტროიტელთა კარში

ბაა, მეორე პერიოდის შემდეგ ანგარიში მინიმალური რომ იყო. ბოლო მესამედი კი უკვე მასპინძლებისა იყო და დეტროიტმა რის ვაივაგლახით შეინარჩუნა უპირატესობა.

### ედმონტონი 2-1 დალასი

**დალასი — ედმონტონი 0:4. შაიბები: გრირი, ჩერკავსკი, მირონოვი, სმიტი**
**ედმონტონი — დალასი 4:3. შაიბები: უეიტი, კოვალენკო, გრირი, ბუკბერგერი; მოდანო, პოუგი, ნუინდაივი**

ის, რომ ფლეი-ოფი ჩემპიონატი არ არის, ამ წყვილის ორთაბრძოლამ კიდევ ერთხელ დაადასტურა. მთელი ჩემპიონატის განმავლობაში დალასი ანადგურებდა ედმონტონს და ყველა ელოდა, რომ პირველი სათასო მატჩიც ასე იქნებოდა. ეტყობა, თავად დალასელებმაც ირწმუნეს ეს და თავდაჯერებისთვის საკადრისიც იწვნიეს.

პირველ მატჩში გაიბრწყინა „მენავთობეთა“ გოლკიპერმა ჯოზეფმა, რომელმაც 25 დარტყმა მოიგერია. გუნდის ლიდერმა უეიტმა კი 2 (1+1) ქულა გააკეთა.

გაცხარებული დალასელები მეორე შეხვედრაში პირველივე წუთიდან ეკვეთნენ ჯოზეფის კარს და არ მოისვენეს, სანამ სამი უპასუხო გოლი არ გაახერხეს. აღსანიშნავია, რომ პირველი შაიბა მოდანომ უმცირესობაში შეაგდო. ედმონტონის ცხვირჩამოშვებულმა ქომაგებმა თანდათან გასასვლელებს მიაშურეს, მაგრამ მათი გულგატეხა ნაადრევი იყო — მასპინძლები უცებ გამოფხიზლდნენ და ორი წუთის განმავლობაში ბობოქრობდნენ, რამაც სრულიად იკმარა ანგარიშის გასათანაბრებლად. ოვერტაიმში კი ბედმა ედმონტონს გაუღიმა, როდესაც დალასის ვეტერანმა გოლკიპერმა მუგმა ბუკბერგერის შორეული დარტყმა „ყლაპა“.

### კოლორადო 2-1 ჩიკაგო

**კოლორადო — ჩიკაგო 3:1. შაიბები: კინი, ოზოლინში, ლემიე; ბლექი**
**ჩიკაგო — კოლორადო 4:3. შაიბები: დაზე (2), ამონტე, კრივოკრასოვი; ჯოუნზი, კორბე, ლემიე**

მეორე მატჩის დასაწყისი წინა შეხვედრის გაგრძელებას მოგაგონებდათ, რადგან პირველივე წუთებზე მასპინძლებმა იმარჯვეს. კოლორადოელთა განთქმულმა გოლკიპერმა რუამ 88-ე სათასო გამარჯვება იზეიმა და ლიგის რეკორდსმენს, ლეგენდარულ ბილი სმითს დაეწია. ჩიკაგომ კი, მისდა სავალალოდ, სამი წამყვანი მოთამაშე დაკარგა მთავარი მეპასის ჟამნოვის თავკაცობით. ამის გამო სერიის მესამე მატჩში „ქორებმა“ მხოლოდ სამი ცენტრი ათამაშეს. მიუხედავად ამისა, ჩიკაგოელებმა მონდომებითა და ჟინით აჯობეს მეტოქეს, რომელიც ამჯერად ნაკლებ მოწადინებული იყო. მას შემდეგ, რაც მასპინძელთა ფორვარდმა უპირატესობა შედეგზეც ასახა (3:1), ფავორიტებმა შეძლეს გარდატეხის შეტანა და გაათანაბრეს ანგარიში. და მაინც, მეორე ოვერტაიმში ჩიკაგოელმა კრივოკრასოვმა გადამწყვეტი შაიბა შეაგდო, რაც, ალბათ, ამ ორთაბრძოლის ლოგიკური შედეგი იყო. მატჩი 4 საათსა და 21 წუთს გაგრძელდა.

### ანაჰაიმი 2-1 ფინიქსი

**ანაჰაიმი — ფინიქსი 4:2. შაიბები: [illegible]რონოვი, [illegible] (2), სელიანე; ნუმინენი, ტკაჩუკი**
**ფინიქსი — ანაჰაიმი 4:1. შაიბები: გენონი (2), ტკაჩუკი, გარტნერი; კარია**

მიუხედავად იმისა, რომ ფინიქსმა მეორე მატჩში ასე თუ ისე შეძლო სელიანეკარიას დუეტის განეიტრალება, სასურველ შედეგს მაინც ვერ მიაღწია, რადგან ასისტენტებად გამწესებული ბომბარდირების ნაცვლად მთავარი როლი ამჯერად ჩემპიონატის დროს შესყიდულმა მცველებმა შეასრულეს. მაგალითად პიტსბურგიდან მიწვეული დენიოც იკმარებს, რომელსაც ანაჰაიმში გადასვლამდე არასდროს შეუსრულებია შემტევი მცველის ფუნქცია, ახალ კლუბში კი გარდაიქმნა და დიდ დახმარებასაც უწევს წინა ხაზს. ამჯერად მან ორი გოლიც გაახერხა (მანამდე სათასო 82 მატჩში მხოლოდ 3 შეაგდო), აქედან ერთი გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა. კიდევ ერთი შაიბა შუა სეზონში პიტსბურგიდან მიპატიჟებული მირონოვის ანგარიშზეა. ანაჰაიმი სერიაში 2:0 დაწინაურდა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს გუნდი ჩემპიონატში შინ ბევრად უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე სტუმრად, ასე რომ, „იხვების“ წარმატებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. ეს ფინიქსში გამართულმა მატჩმაც დაადასტურა, რომელშიც „კოიოტები“ სულ სხვა გუნდად მოგვევლინნენ. გაცილებით უკეთ ითამაშა გოლკიპერმა ხაბიბულინმა. მე-14 წუთისთვის ყველაფერი ნათელი იყო: შენონის ორმა და მთავარი სნაიპერის ტკაჩუკის ერთმა ზუსტმა დარტყმამ ანგარიში 3:0 გახადა, რის შემდეგ გუნდებმა გოლები გაცვალეს. ფინიქსელმა რონინგმა 3 პასი გააკეთა.

### ნიუ ჯერზი 2-0 მონრეალი

**ნიუ ჯერზი — მონრეალი 4:1. შაიბები: მაკლინი (2), გერინი, კარპენტერი; სავაჟი**

ამ მატჩში მონრეალი ტოლს არ უდებდა მეტოქეს, არც სახიფათო მომენტების შექმნაში, არც ბრძოლის სიმწვავეში. და მაინც, იყო ერთი რამ, რაც კანადელებს აკლდათ — ბედ-იღბალი და კიდევ: „ეშმაკთა“ გოლკიპერის ბროდოს საუცხოო თამაშმა მონრეალი წელში გატეხა. ნიუ ჯერზი უფრო აგრესიული იყო და ამჯერად მისი უპირატესობა აშკარა იყო. მასპინძლები რიცხვმრავლობის გამოყენებაშიც გამოირჩნენ (3-ჯერ), რაც, საერთოდ, არ სჩვევიათ. ასეა თუ ისე, ნიუ ჯერზის ლიდერობა ამ სერიაში უეჭველია და ძნელი წარმოსადგენია, რომ მონრეალმა გარდატეხის შეტანა შეძლოს. ვეტერანმა მაკლინმა 3 (2+1) ქულა დააგროვა. საინტერესოა, რომ რიცხვმრავლობის სამივე შემთხვევაში მონრეალელთაგან მცველი მერსონი იყო გაძევებული.

### ბუფალო 1-1 ოტავა

**ბუფალო — ოტავა 1:3. შაიბები: ბარიჯი; დაკელი, დიუშენი, ალფრედსონი**

„სენატორებმა“ თავის ისტორიაში პირველად მოიგეს სათასო მატჩი.

### ფილადელფია 2-0 პიტსბურგი

**ფილადელფია — პიტსბურგი 3:2. შაიბები: ოტო, ლეკლერი, კლეტი; ლემიე, იაგრი**

პიტსბურგმა კვლავ წააგო, მაგრამ ახლა უფრო კარგად გამოიყურებოდა და თავისივე შეცდომები რომ არა, მოგებასაც გამჰკრავდა ხელს. სწორედ მცველთა უხეში შეცდომით ისარგებლა ფილადელფიელმა კლეტმა, როცა გამარჯვების შაიბა შეაგდო. პიტსბურგელთაგან, როგორც ყოველთვის, ლემიე (1+1) და იაგრი (1+1) იყვნენ გამორჩევის ღირსი, თანაც სუპერმარიომ ფლეი-ოფში 150-ე ქულა დააგროვა, 68 გოლით კი მეათე ადგილზე მყოფ გორდი ჰოუს გაუტოლდა.

### ფლორიდა 1-1 რეინჯერზი

**ფლორიდა — რეინჯერზი 0:3. შაიბები: გრეცკი, ტიკანენი, რობიტაილი**

უფრო გამოცდილმა ნიუიორკელებმა ფლორიდა მეტოქისავე იარაღით — დაცვაში საიმედო თამაშით დაჯაბნეს. რეინჯერზელთაგან ვეტერანებმა გამოიჩინეს თავი: ჯერ იყო და, გრეცკიმ (1+1) გაიტანა თავისი 113-ე გოლი (იგი ფლეი-ოფის ერთპიროვნული ლიდერია), შემდეგ კი თასის ხუთგზის მფლობელის მესიეს ბრწყინვალე გადაცემა დააგვირგვინა.

**სამველ ლარიბიანი**

# ველორბოლა

## მეტისმეტი ინდომა



მსოფლიო კლასიფიკაციის ამჟამინდელმა პირველმა ნომერმა — ფრანგმა ლორან ჟალაბერმა იშვიათი დუბლი ჩაიფიქრა: სამხრეთი ბელგიის მთიანეთში წინა ოთხშაბათსა და კვირას გამართული ორი კლასიკური, თითოდღიანი რბოლის — „ფლეშ ვალონისა“ და „ლიეჟ — ბასტონ — ლიეჟის“ მოგება განიზრახა. კვირის შეჯიბრი იმავდროულად წლევანდელი მსოფლიო თასის IV ეტაპიც იყო.

ჟალაბერმა მართლაც მოიგო ოთხშაბათს. **200-კილომეტრიანი რბოლის ფინიშამდე 25 რომ დარჩა, იგი,** მისი თანამემამულე ლიუკ ლებლონი და იტალიელი ენრიკო ძაინა წინ გაიჭრნენ, იუის მწვერვალისკენ მიმავალ აღმართზე კი ლორანმა ორივენი უკან მოიტოვა.

16. 04. ფლეშ-ვალონი: 1. ჟალაბერი 5 საათი: 07 წუთი. 00 წამი; 2. ლებლონი ჩამორჩა 19 წამით; 3. ალექს ცულე (შვეიცარია), 4. მიკელე ბარტოლი (იტალია), 5. მარკო პანტანი (იტალია), 6. პასკალ ლინო (საფრანგეთი), ... 18. ძაინა, 19. ევგენი ბერზინი (რუსეთი), 20. ბიარნე რიისი (დანია) — ყველანი .50

კვირას სხვაგვარად მოხდა. **262-კილომეტრა რბოლის დასაწყისშივე — მე-8 კილომეტრზე წინ გაიჭრა ავსტრიელი გეორგ ტოჩნიგი, ვინაც ჯგროს ერთი პირობა 20 წუთითაც კი დაშორდა, მაგრამ ეულად ბოლომდე, რა თქმა უნდა, ვერ გაძლო. 177-ე კილომეტრზე მას დაეწია იტალიელი ერმანო ბრინიოლი, მალე კი სხვებიც გაუსწორდნენ. ფინიშამდე 38 კმ რომ დარჩა, ჟალაბერის ONCE-ელმა ძმობილმა ცულემ გაქცევა სცადა. მას ოდენ ფრანგი ფავორიტი და ბარტოლი (ტექნოჯიმი) მიუყვნენ.**

**ლტოლვილები დასს 13 წამით დაშორდნენ. მსოფლიო თასის ბოლო ორი წლის გამარჯვებულმა და მსოფლიოს ამჟამინდელმა ჩემპიონმა, 31 წლის ბელგიელმა იოჰან მიუზეუვმა თავი გამოიდო და ლიდერებს ერთი პირობა 50 მეტრამდეც წამოეწია, მაგრამ ამაოდ.**

ორმა ONCE-ელმა უცხო ბარტოლის ვერაფერი მოუხერხა. ფინიშამდე ერთი კილომეტრი რომ დარჩა, 26 წლის მიკელე ბოლო აღმართზე მოწყდა მდევრებს და წელს უკვე მეორე რბოლა მოიგო.

ჟალაბერს იხტიბარი არ გატეხვია. თავიცინუგეშა: ერთი, რომ დაღლილი ვიყავ და მეორეც, ძლიერთან წაგების გამო დარდი არა ღირსო.

20. 04. ლიეჟ — ბასტონ — ლიეჟი: 1. ბარტოლი 7:19.28; 2. ჟალაბერი .08; 3. გაბრიელე კოლომბო (იტალია); 4. ლებლონი, 5. მაქს შანდრი (ბრიტანეთი), 6. მიუზეუვი, 7. ბიტ ცბერგი (შვეიცარია), 8. პანტანი, 9. დავიდე კაზაროტო (იტალია), 10. მაურო ჯანეტი (შვეიცარია) — ყველანი .19

მსოფლიო თასის V ეტაპი — „ამსტელ გოულდი“ შაბათსაა, ჰოლანდიაში.

# მძლეოსნობა

## „ერთგულების თასის“ XVIII კროსი

თბილისი. ვაკის პარკი
1997 წლის 20 აპრილი. დილის 11 საათი
დისტანცია 5 240 მ. 156 მონაწილე. ორი გარბენი

**თასების მფლობელები**
ზილბერშტეინი და აბრამიძე

### ვაჟები (126 მონაწილე)

უმცროსკლასელები (63): 1. ავთო ფარცხალაძე (ვანი) 21.12; 2. დათო გილაშვილი (საგარეჯო) 21.20; 3. თემურ თიბილოვი (ბორჯომი) 21.30

უფროსკლასელები (37): 1. დათო გოგოლაძე (ბორჯომი) 18.00; 2. დადაშ კუხალაშვილი (თბილისი) 19.10; 3. ერიკ კიურქჩიანი (ახალციხე) 19.20

მამაკაცები (17): 1. ზიგმუნდ ზილბერშტეინი (ახალციხე) 16.43; 2. ჰამლეტ მამიკონიანი (თბილისი) 17.08; 3. ნუკრი ვალიშვილი (თბილისი) 18.05

ვეტერანები (9): 1. იური ბუჩნევი (თბილისი) 20.30; 2. ზურაბ თავბერიძე (თბილისი) 20.46; 3. იური ციგულევი (თბილისი) 22.40

### ქალები (30)

უმცროსკლასელები (16): 1. სოფო გობოზოვა (ჭიათურა) 21.42 *; 2. თაკო ზერეკიძე (ბორჯომი) 22.23; 3. ნუცა ქოზაშვილი (ბორჯომი) 22.31

უფროსკლასელები (9): 1. ქეთინო აბრამიძე (ვანი) 20.15 *; 2. ნატო ბურნაძე (ბორჯომი) 22.03; 3. მაკა დარბაისელი (საგარეჯო) 22.07

დედაკაცები (3): 1. თეა გილაშვილი (საგარეჯო) 24.44; 2. ლიზა ბურნაძე (თბილისი) 26.13; 3. მარგო მესხი (თბილისი) 31.03

ვეტერანები (2): 1. გულიკო გიორგობიანი (თბილისი) 31.35; 2. ემანუილა ბიანკი (ტურინი, იტალია) 34.30

### ოჯახები (11)

1. ძმები — ნუკრი და გოჩა ვალიშვილები (თბილისი) 39.42; 2. ძმები — დადაშ და ლაზარე კუხალაშვილები (თბილისი) 45.31; 3. ძმები — საშა და ალიოშა მირიმანოვები (თბილისი) 45.44

უხუცესი მონაწილე — 63 წლის გიორგი სტროგეცკი (თბილისი)

უმრწემესი მონაწილეები: 6 წლის ლაზარე კუხალაშვილი და ლაშა მიქაძე (თბილისი)

* ასაკობრივი ჯგუფის ყველა დროის საუკეთესო შედეგი

კროსის ფუძემდებელი და მუდმივი ორგანიზატორი ლექსო ბურნაძე ულრმესი მადლობით იხსენიებს წლევანდელ მთავარ სპონსორ „ელიზს“, აგრეთვე „ესაბს“, „დობერას“, „პობი-92“-ს, „პუმას“, „ნიუვეიზს“, და კიდევ მთავარ მსაჯსა და „მთავარ ფოტოგრაფს“, სირბილის მოყვარულთა კლუბ „კუს“ ლვაწლმოსილ დამაარსებელ ჯუმბერ ხუბუას.



ზილბერშტეინი | აბრამიძე

კროსიც ეს იყო. დარი, ხალისი, ფიცხელი შეჯიბრი, მსაჯების ობიექტურობა და ოპერატიულობა, ფედერაციის უფროსობის სტუმრობა, ფერადად მონიშნული დისტანცია, საგანგებოდ „ერთგულების თასისთვის“ დამზადებული კვარცხლბეკი, უხვი დაჯილდოება და რა თქმა უნდა — მონაწილეთა სიმრავლე: კომუნისტების დროში დამყარებული მასობრიობის რეკორდი ისე გაუმჯობესდა, რომ ორგანიზატორებმა ცალ-ცალკე გააქცუნეს, ერთ ხელზე — ნაღდი სპორტსმენები, მეორედ კი ისინი, ვისი ამბიციებიც უფრო მოკრძალებულია.

ახლა შედეგებს აღარ იკითხავთ? — მორიგი წინსვლა აღინუსხა. ვაჟთა აბსოლუტურ გამარჯვებულს 16 წამი კი დააკლდა ყველა დროის უკეთეს ათეულში მოხვედრამდე, მაგრამ საქართველოს უპირველეს სტაიერ ზიგმუნდ ზილბერშტეინს არც ამჯერად ყოლია ღირსეული მეტოქეები, ხოლო მარტო კაცს ფრიადი შედეგი რომ გაეხერხებინოს, არსად გაგონილა. აი, ნორჩმა ქეთინო აბრამიძემ კი ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა და თასი სამუდამოდ შინ წაიყოლა.

ბერმუხა ჟორა სტროგეცკი წვრილფეხობას გაეჯიბრა



# ტელევიზია

## საქართველოს დროით!

დღეს, სამშაბათს, 22 აპრილს

11.30 საგზატკეცილო ველორბოლა: ლიეჟ — ბასტონ — ლიეჟი; 12.30 ფეხბურთი: მსოფლიო პირველობების ლეგენდები; 13.30 ჩოგბურთი: მონტე-კარლოს ღია პირველობა. II დღე (პ); 21.00 სამოტოციკლო ჟურნალი „თვლები“; 21.30 ტრაქტორობანის სეზონი (მ); 22.30 საგიუმაუო ჟურნალი „სრბოლა“; 23.00 კრივი: ბრიტანეთის თანამეგობრობის „ველთერ“-წონის ჩემპიონობაზე. ბ. ჰოლი — ფ. ბეალია. ლონდონიდან; 1.00 ჩოგბურთი: მონტე-კარლო (რ); 1.30 ფეხბურთი: უეფა-ს თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩები; 3.00 კალათბურთი: ვაჟთა ევრო-ლიგის ფინალური ოთხეული. ოლიმპია — ოლიმპიაკოსი, ვილერბანი — ბარსელონა. რომიდან (4.30-მდე)

ხვალ, ოთხშაბათს, 23 აპრილს

11.30 მოტოციკლი: სუპერ-ბაიკი. სან-მარინოს დიდი პრიზი. მიზანოდან (იტალია); 12.30 ფეხბურთი: უეფა-ს თასი. წუხანდელი მატჩები (რ); 13.30 ჩოგბურთი: მონტე-კარლო. III დღე (პ); 21.00 ფეხბურთი: უეფა-ს თასი (-); 22.00 ავტოჟურნალი „ძრავები“; 23.00 საბრძოლო ხელოვნებანი: პარიზული ფესტივალი. ბერსიდან; 1.00 ჩოგბურთი: მონტე-კარლო (რ); 2.00 ავტორბოლა: მსუბუქი მანქანები. სეზონის წარდგენა; 3.00 ჩოგბურთი: ატპ-ის ტური (მ); 3.30 ცხენოსნობა: ვოლვოს მსოფლიო თასი. „გზა ფინალისაკენ“ (4.30-მდე)

დღეს, სამშაბათს, 22 აპრილს

9.00 მსოფლიო სპორტი (მ); 10.00 ფეხბურთი: ესპანეთის ლიგა (მ); 10.30 13-კაცა რაგბი; სუპერ-ლიგა; 12.30 კრიკეტი: ვესტ-ინდოეთი — ინდოეთი. V ტესტი. ბოლო, V დღე (რ); 13.30 ინდური სპორტი (მ); 14.00 საგზატკეცილო ველორბოლა: ბრიტანეთის თანამეგობრობის ბანკის კლასიკური; 15.00 აზიური ფეხბურთის სეირი; 16.00 მოტოციკლი: სუპერ-ბაიკი. სან-მარინოს დიდი პრიზი. მიზანოდან (რ); 17.30 კრიკეტი. იკკ-ის თასის ნახევარფინალი. კენია — ირლანდია; 23.30 მოტოციკლი: იაპონიის დიდი პრიზი. სუძუკადან (რ); 1.00 გოლფი: პროფ-ტურზე (მ); 1.30 ველორბოლა (-); 2.30 ინდური სპორტი; 3.00 კრიკეტი: V დღე. (რ); 4.00 ცხენოსნობა: ვოლვოს მსოფლიო თასი; 5.00 მსოფლიო სპორტი (მ); 6.00 ფეხბურთი: ესპანეთი (-)

ხვალ, ოთხშაბათს, 23 აპრილს

6.30 კრიკეტი: კენია — ირლანდია (-); 12.30 მსოფლიო ავტოსპორტი (მ); 13.30 სქვოში: მსოფლიო ტური; 14.00 მსოფლიო სპორტი (მ); 15.00 გოლფი: ევროპის პროფ-ტური. კანის ღია პირველობა (რ); 16.00 მოტოციკლი: იაპონია (-); 17.30 კრიკეტი: იკკ-ის ნახევარფინალი. ბანგლადეში — შოტლანდია; 23.30 სუპერ-ბაიკი (-); 1.00 გოლფი: კანი (-); 2.00 აზიური სპორტი; 2.30 მსოფლიო რაგბი; 4.30 ველორბოლა (-); 5.30 მსოფლიო ავტოსპორტი

ზეგ, ხუთშაბათს, 24 აპრილს, საღამომდე

6.30 კრიკეტი: ბანგლადეში — შოტლანდია (-); 12.30 მიდას თასი; 14.00 წყალჯომარდობის სამყარო; 15.00 გოლფი: ომეგას ტური. გუამის ღია პირველობა (რ); 16.00 რესლინგი; 17.00 ფეხბურთი: ესპანეთი (-); 17.30 კრიკეტი: იკკ-ის თასი. III ადგილის მატჩი. შოტლანდია — ირლანდია

(-) იგივე; (მ) მიმოხილვა; (პ) პირდაპირ; (რ) რჩეული

# რაგბი

ზე-12-ის სერიალი

VIII კვირა: 18. 04. ოთაგო (ზელანდია) — კანბერა (ავსტრალია) 9:15; 19. 04. ოქლენდი (ზელ) — პაუტენპი (ყოფილი ტრანსვაალი, აფრიკა) 63:22, ახალი სამხრეთი უელსი (ავსტ) — ქვინზლენდი (ავსტ) 16:26, ჩრდილოეთი ტრანსვაალი (აფრ) — ვაიქათო (ზელ) 34:27, ქენთებრი (ზელ) — ნატალი (აფრ) 26:26; 20. 04. ველინგთონი (ზელ) — ნარინჯი (აფრ) 59:30

ოქლენდი 30 ქულა (7 თამაშიდან), ნატალი 27 (7), კანბერა 26 (8), ველინგთონი და პაუტენპი 22 (7), ახ. სამხრ. უელსი 16 (7), ჩრდ. ტრანსვაალი 16 (8), ნარინჯი 14 (8), ვაიქათო 13 (7), ქენთებრი 12 (7), ოთაგო 11 (7), ქვინზლენდი 10 (8)

პარასკევს კანბერა მასპინძლობს ახალ სამხრეთ უელსს, შაბათს კი ოქლენდი შინ ეთამაშება ნატალს!

„სარბიელში“
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

რაგბის კლუბი „ქოჩები“ აცხადებს 1987-88 წლებში დაბადებული ბიჭების მიღებას.



მწვრთნელ ნუგზარ მალაღურაძეს მომავალი მობურთალებითურთ მიაკითხეთ ორშაბათს, ოთხშაბათს ან პარასკევს, დღის 5 საათიდან, ვაკის სტადიონის ტაბლოსთან.

# მოტოციკლი

## ისევ დუენი



რაც 1949 წელს მსოფლიო ჩემპიონატების გამართვა დაწესდა, 500 კუბური სანტიმეტრის კლასში იაპონიის დიდი პრიზის გათამაშება საიუბილეო, მე-2000 გრან-პრი იყო. წლევანდელი პირველობის II ეტაპი კვირას, შიდა იაპონიაში, სუძუკას 5 864-მეტრიან, მიხვეულ-მოხვეულ ტრასაზე გაიმართა და მასპინძელი „ჰონდას“ უსიტყვო გამარჯვებით დასრულდა.

500 (21 წრე, 123,14 კმ): 1. მაიკ დუენი (ავსტრალია, ჰონდა) 45 წუთი. 11,995 წამი; 2. ალექს კრივიე (ესპანეთი, ჰ) 45.12,426; 3. ტადაიუკი ოკადა (იაპონია, ჰ) 45.18,042; 4. ტაკუმა აოკი (იაპ, ჰ) 45.35,614; 5. ნობუაცუ აოკი (იაპ, ჰ) 45.35,890; 6. კარლოს ჩეკა (ესპანეთი, ჰ) 45.36,397; 7. ნორიფუმი აბე (იაპ, იამაჰა) 45.36,710

ზედიზედ მეორე ეტაპია, პოულს 30 წლის ოკადა იკავებს. დუენი სტარტზე ამჯერად მეორე დადგა. მას მხარი დაუმშვენეს კრივიემ და ძმები აოკებიდან უმცროსმა — ნობუაცუმ.

კვირას დუენმა დინჯად დაიწყო. ოკადა ერთი პირობა 4 წამით დაწინაურდა, მაგრამ მე-10 წრეზე სამგზის ჩემპიონმა დუენმა „კოვზის მრუდზე“ შიგნიდან გაუსწრო მასპინძელს და ლიდერობა ფინიშამდე ხელიდან აღარ გაუშვია. მანამდე, მე-8 წრეზე მაიკმა უსწრაფესი წრე გაახერხა, გამარჯვებულმა კი თქვა, კრივიესგან გადამწყვეტ შემოტევას ფინიშამდე ველოდი, მაგრამ ვერ ველირსეო.

კრივიემ ოკადას მაშინ გაუსწრო, გასავლელი კიდევ 6 წრე რომ რჩებოდა. დუენმა ამ დღეს კარიერის 36-ე დიდი პრიზი მოიგო.

250 (19 წრე, 111,42 კმ): 1. დაიძირო კატო (იაპ, ჰ) 41.42,226; 2. ტოპრუ უკავა (იაპ, ჰ) 41.42,434; 3. ტეცუია ჰარადა (იაპ, აპრილია) 41.42,544; ... 7. ბიაჯი (იტალია, ჰ) 42.10,107

დუენივით ბოლო სამი წლის ჩემპიონს, ოღონდაც 250 კუბურ სანტიმეტრში — 25 წლის მაქს ბიაჯის პარასკევის ვარჯიშზე მარცხი შეემთხვა: მოსრიალდა, საბურავების ჯებირს შეასკდა და მარჯვენა ბეჭი იღრძო. გუნდმა მაქსს ფიზიო-თერაპიის სეანსები ჩაუტარა და შაბათსვე დააყენა ფეხზე. თუმც ტრავმა ტანჯავდა, ბიაჯიმ XV შედეგი მაინც გაახერხა, რბოლაში კი VII ადგილს შეწვდა.

რბოლა ისე წარიმართა, ჰარადას გამარჯვება უეჭველი ჩანდა, მაგრამ ბოლო წრეზე ძრავმა უმტყუნა და სვლა შეანელებინა. გამარჯვა 20 წლის ახალბედა კატომ, ეტაპზე საგანგებოდ რომ დაუშვეს.

125 (18 წრე, 105,55 კმ): 1. ნობორუ უედა (იაპ, ჰ) 41.48,072; 2. კაზუტო საკატა (იაპ, აპრილია) 41.48,437; 3. პიდეიუკი ნაკაძო (იაპ, ჰ) 41.48,578; ... უედამ 1994 წლის შემდეგ პირველად მოიგო ეტაპი

ორი ეტაპის ჯამი. 500: დუენი 50 ქულა, კრივიე 40, ნ. აოკი 27, ტ. აოკი 24, ოკადა 22, ჩეკა 20; 250: ჰარადა 36, ბიაჯი 34, უკავა 30, კატო 25; 125: უედა 41, საკატა 40

# ჩოგბურთი

## ბრუკი და ანდრე შეუღლდნენ



კვირის ბოლოს კორტებზე მომხდარი აშკარად დაჩრდილა საყოფაცხოვრებო ამბავმა — დიდი სლემის ტურნირების სამგზის გამარჯვებულის, 26 წლის ანდრე აგასისა და 31 წლის კინოვარსკვლავ ბრუკ შილდსის ჯვრისწერამ და ქორწილმა.

წყვილს ჯვარი შაბათს, საღამოს, კალიფორნიის ქალაქ მონტერეის წმ. იოანეს კათოლიკურ ტაძარში დაწერა ღირსმა მამა ჩარლზ გარდმა, შილდსის ოჯახის მეგობარი რომაა. ცერემონიას დაესწრო ასამდე სტუმარი და კიდევ აბეზარი ფოტო-რეპორტიორებით, ე. წ. პაპარაცებით დახუნძლული ოთხი შვეულმფრენი. პატარძალს თეთრი კაბა ემოსა, მის სამ დაქალს — ოქროსფერი.

**ქორწილი სან-ფრანცისკოდან 115 კილომეტრით დაშორებულ დაბაში გადაიხადეს. ანდრე და ბრუკი ერთმანეთს 1993 წელს, ჩოგბურთის სტადიონზე წარუდგინეს. მერე წყვილი კარგა ხანს ფაქსით აწარმოებდა მიმოწერას.**

ბარსელონაში წვიმის გამო ორშაბათისთვის გადაიდო „სით-გოდოს“ ღია პირველობის ფინალი, რომელშიც მასპინძელი ალბერტ კოსტა (7) უნდა შებმოდა თანამემამულე ალბერტ პორტასს. თიხის კორტი მეტისმეტად დალბა. შედეგის და მიუხედავად, კოსტა გუშინდლიდან კარიერაში პირველად შევიდოდა კლასიფიკაციის მოწინავე ათეულში.

მეოთხედფინალები (18. 04): კარლოს მოია (ესპანეთი, 4) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 6:4, 6:2; კოსტა (7) — სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) 6:4, 6:2; ალბერტო ბერასატეგი (ესპანეთი, 9) — ფერნანდუ მელიჟენი (ბრაზილია) 6:2, 7:5, პორტასი — ქარიმ ალამი (მაროკო) 6:2, 7:5. ზედიზედ მეორე კვირის მანძილზე პირენეებზე გამართული ტურნირების ნახევარფინალში ერთბაშად ოთხი ესპანელი გავიდა!

ნახევარფინალები (19. 04): კოსტა — მოია 7:6 (8-6), 7:5, პორტასი — ბერასატეგი 6:3, 7:5

ტოკიოში, იაპონიის ღია პირველობაზე ვაჟ ჩემპიონს ჯილდოდ 154 ათასი დოლარი ერგო, ქალს — მხოლოდ 27 ათასი. და მაინც, იგი კმაყოფილი უნდა იყოს, რადგან კარიერაში პირველი ტიტული მოიპოვა.

ვაჟები. მეოთხედფინალები: რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია, 1) — დავიდ პრინოზილი (გერმანია, 8) 6:4, 6:3, პატ რაფთერი (ავსტრალია, 6) — თოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია, 4) 6:4, 7:6 (7-3), თომას იოჰანსონი (შვედეთი, 5) — მარკ ვუდფორდი (ავსტრალია, 13) 6:3, 6:4, ლიონელ რუ (საფრანგეთი, 16) — მარტინ დამი (ჩეხეთი, 7) 6:3, 6:1; ნახევარფინალები: კრაიჩეკი — რაფთერი 7:6 (7-5), 6:3, რუ — იოჰანსონი 4:6, 7:5, 6:3; ფინალი: კრაიჩეკი — რუ 6:2, 3:6, 6:1

ქალები. ნახევარფინალები: ემი ფრეზერი (აშშ, 3) — ანაბელ ელვუდი (ავსტრალია, 9) 6:2, 6:3, აი სუგიამა (იაპონია, 4) — ქიმბერლი პო (აშშ, 2) 5:7, 6:4, 6:1; ფინალი: სუგიამა — ფრეზერი 4:6, 6:4, 6:4

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიბრიაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29